საქართველოს საარჩევნო ობსერვატორია - 2024

წინასაარჩევნო პროპაგანდისტული ნარატივების გადამოწმება

პროექტის შესახებ

საქართველოს საარჩევნო ობსერვატორია (GEObserver 24) მოკლევადიანი ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს 2024 წლის წინასაარჩევნო ნარატივების ფაქტ-ჩეკინგს. კლასიკური ფაქტ-ჩეკინგისგან განსხვავებით, ობსერვატორია არამხოლოდ ცალკეულ განცხადებებს ამოწმებს, არამედ მთლიან ნარატივს განიხილავს და მედია ანალიზთან ერთად, პოლიტიკურ ანალიზსაც გთავაზობთ.

ობსერვატორია Fojo Media Institute-ის საგამოძიებო მედია ლაბისა (IML) და საქართველოს უნივერსიტეტის უსაფრთხოების, პოლიტიკისა და ნაციონალიზმის კვლევის ცენტრის (UGSPN) ერთობლივი პროექტია.

სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების შეხედულებებს.

სარჩევი

პროექტის შესახებ 1

ანტი-დასავლური ნარატივები 4

პოლიტიკური ანალიზი 5
ამბივალენტურობიდან ანტი-დასავლურ ნარატივამდე 5
მედია ანალიზი
ივანიშვილი VS ოცნების ლიდერები – ვინ ვის ადანაშაულებს ივანიშვილის ფინანსურ შანტაჟში? 8
რელიგიის წინასაარჩევნო ინსტრუმენტალიზაცია - ვინ (არ) ებრძვის ეკლესიას? 13
ევროკავშირის დირექტივა და უცხოელი აგენტების კანონი 17
ევროკავშირი vs. საბჭოთა კავშირი 19

ომის შიში ..... ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

პოლიტიკური ანალიზი 23
ომის შიშის ინსტრუმენტალიზაცია 23
მედია ანალიზი 34
"ომი საქართველომ დაიწყო" და სხვა დეზინფორმაციული ნარატივები 26
„დასავლეთმა საქართველო 2008 წელს ჰუმანიტარული წყლის ანაბარა მიატოვა“ 30
ქართული ოცნების "უპრეცედენტო მშვიდობის" კვალდაკვალ 32
დეზინფორმაცია: აგვისტოს ომის დროს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყნიდან გარბოდნენ 36

ტერიტორიული მთლიანობა 38

პოლიტიკური ანალიზი 39
მედია ანალიზი 41
რა სჭირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას? 41

კონსპირაციის თეორიები 45

პოლიტიკური ანალიზი 46
მედია ანალიზი 49
გლობალური ომის პარტია 49

იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების ინსტრუმენტალიზაცია 53

პოლიტიკური ანალიზი 54
მედია ანალიზი 57
ანტი-ლგბტ სენტიმენტებისა და ოჯახური ღირებულებების წინასაარჩევნო ინსტრუმენტალიზაცია 57

“ევროპული სტანდარტი” 62

პოლიტიკური ანალიზი 63
მედია ანალიზი 67
12 წლის შემდეგ - ევროპული სტილის მართლმსაჯულება თუ კლანური მმართველობა? 67

ანტი-ლიბერალიზმი 71

პოლიტიკური ანალიზი 72
მედია ანალიზი 76
“ქართული ოცნება”: ფსევდოლიბერალები ფსევდოლიბერალიზმის წინააღმდეგ 76

ანტი-დასავლური ნარატივები



საქართველოში **ანტიდასავლური ნარატივები,** რომელსაც მმართველი პარტია ხშირად იყენებს, ღრმად არის ფესვგადგმული საბჭოთა პერიოდის პროპაგანდაში. თანამედროვე საქართველოში ეს ნარატივები ხშირად გამოიყენება ისეთი პოლიტიკის გასამართლებლად, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, კრიტიკულ მედიას და პრო-დემოკრატიულ ჯგუფებს უცხოელი აგენტების ან დასავლეთის მარიონეტების იარლიყს ანიჭებს. მმართველი ელიტა ამ დისკურსს იყენებს, რათა ყურადღება გადაიტანოს რუსული ოკუპაციისგან და ამავდროულად, დასავლეთის დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნები საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული იდენტობის საფრთხედ წარმოაჩინოს. მაშინ, როდესაც მმართველი პარტიის გაცხადებული მიზანია ოკუპაციის უარყოფა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ის ამავდროულად ერიდება რუსეთის, როგორც ამ პროცესში ცენტრალური აქტორის, კრიტიკულად მოხსენიებისგან. მეტიც, რეგიონში აგრესიული ომის ერთადერთ მწარმოებელთან დაახლოება განიხილება მშვიდობის მიღწევისა და შენარჩუნების გზად.

პოლიტიკური ანალიზი

ამბივალენტურობიდან ანტი-დასავლურ ნარატივამდე

ანტი-დასავლური ნარატივები საქართველოში საბჭოთა კავშირის იმპერიული მმართველობიდან იღებს სათავეს. მისი შინაარსიც, განსაკუთრებით ეროვნული იდენტობისა და ტრადიციების, ისევე როგორც სუვერენიტეტის საკითხებთან მიმართებაში, საბჭოთა ანტი-დასავლური დისკურსის ნაწილია. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დასავლეთი გახდა არა მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისა და სახელმწიფოებრიობის განვითარების წყარო, არამედ კონსტიტუციურად აღიარებული საგარეო პოლიტიკის ორიენტი. თუმცა, ანტი-დასავლური დისკურსი თანაარსებობდა ოფიციალურ პრო-დასავლურ პოლიტიკასთან ერთად თანამედროვე საქართველოში და ძირითადად, კულტურულ შფოთვასა და ულტრა-ნაციონალისტურ ნარატივებში ვლიდებოდა. მაშინ, როდესაც პრო-დასავლურმა და პრო-რუსულმა პოლიტიკამ თუ ნარატივებმა ურთიერთგამომრიცხავი შინაარსი შეიძინა, განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, უკანასკნელ წლებში, საქართველოს მთავრობა ცდილობდა საგარეო პოლიტიკური კურსი ამბივალენტურად განესაზღვრა ამ ორ სივრცესთან მიმართებაში. აღნიშნული პოლიტიკა, ერთის მხრივ, მიმართული იყო დასავლურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის დონის შენარჩუნებაში და ამრიგად, პრო-ევროპელი ამომრჩევლის მობილიზებაში, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის მიმართ შერბილებული ტონისა და ანტი-დასავლური, ულტრა-ნაციონალისტური სენტიმენტების წახალისებაში. ბოლო პერიოდში, საქართველოს მმართველი ელიტა აქტიურად იყენებს ანტი-დასავლურ რიტორიკას როგორც წინასაარჩევნოდ სხვა პოლიტიკური საკითხიების გადასაფარად, ისე საზოგადოებრივი პოლარიზაციის ინსტრუმენტალიზაციისა და (შეფარული თუ ცხადი) პრო-რუსული ნარატივების გასამყარებლად.

ისტორიულად, საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩამოყალიბებული ანტი-დასავლური ნარატივი ხატავდა დასავლურ სამყაროს, როგორც ბოროტების, ამორალურ იმპერიას, რომელიც გამოირჩეოდა სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევითა და დესტაბილიზაციისა თუ კონფლიქტების გამოწვევით. პოსტ-საბჭოთა სივრცეში, პრო-რუსული და ულტრანაციონალისტური ძალები აგრძელებენ აღნიშნული ნარატივის გავლენის გავრცელებას, ძირითადად საქართველოს მსგავსი ქვეყნების დასავლური კურსიდან ჩამოშორების მიზნით. ამასთანავე, რუსეთის სტრატეგიული დეზინფორმაციული

კამპანიები დასავლურ ლიბერალიზმს წარმოაჩენს, როგორც შეუთავსებელს საქართველოს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ღირებულებებთან და ეროვნულ იდენტობასთან.

თუმცა, დუალისტური საგარეო პოლიტიკის სტრატეგია არ არის უნიკალური საქართველოს შემთხვევისთვის, არამედ ეხმიანება არალიბერალური რეჟიმების ტენდენციას, გამოიყენონ დასავლური ინტეგრაცია დემოკრატიულ ფასადად ან ლოკალურ დონეზე ელექტორატის მოსაზიდად, თუმცა აუცილებელი რეფორმების გატარების გარეშე. ამ კონტექსტში, ქვეყნის შიგნით არსებული ანტი-დასავლური ნარატივები თანაცხოვრობდა შერჩევით, თუმცა საჯაროდ გაცხადებულ, ჩართულობასთან დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესში. ამასთანავე, რუსეთის აგრესიული შეჭრის შემდეგ უკრაინაში, საქართველოში მმართველი პოლიტიკური ელიტა საგარეო დონეზე უფრო და უფრო შორდება დასავლეთთან ეკონომიკური და უსაფრთხოების კუთხით ბმას, ხოლო შიდა დისკურსის დონეზე აღვივებს ანტი-დასავლურ განწყობებს, ახდენს ლიბერალური დემოკრატიის დისკრედიტაციას და დასავლური ღირებულებების ქართულთან დაპირისპირებაში განიხილვას. ეს დისკურსი, თავის მხრივ, ქმნის საჭირო ნიადაგს იმისთვის, რომ ანტი-დასავლური პათოსით მიღებული ადგილობრივი საკანონმდებლო ცვლილებები ეროვნული იდენტობის დაცვად და პატრიოტულ ვალდებულებად მოინათლოს მმართველი პარტიის ნარატივებში.

საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გარდამტეხ მომენტებს შორის არის სუვერენიტეტის საკითხი. ერთი შეხედვით პარადოქსულია, რომ სუვერენიტეტის საკითხი არა რუსეთთან, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული, არამედ უპირველესად დასავლეთთან მიმართებაში განიხილება. ამრიგად, დასავლეთის მხრიდან დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნა ქვეყნის შიდა საქმეებში შეჭრად არის გამოცხადებაში მმართველი ძალის მიერ. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ 2024 წელს დამტკიცებული ე.წ. „აგენტების კანონი“, რომელიც თავისი არსით რუსული კანონმდებლობის მსგავსია და სამიზნე ჯგუფად არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს განიხილავს, რომელთა დაფინანსებაც ძირითადად დასავლურ წყაროებს უკავშირდება.

ამრიგად, განხილული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია რუსეთთან და რუსეთის შესახებ რიტორიკის შერბილება. ამ შემთხვევაშიც პარადოქსულ დუალიზმთან გვაქვს საქმე: მაშინ, როდესაც მმართველი პარტიის გაცხადებული მიზანია ოკუპაციის უარყოფა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ის ამავდროულად ერიდება რუსეთის, როგორც ამ პროცესში ცენტრალური აქტორის, კრიტიკულად მოხსენიებისგან. მეტიც, რეგიონში

აგრესიული ომის ერთადერთ მწარმოებელთან დაახლოება განიხილება მშვიდობის მიღწევისა და შენარჩუნების გზად.

დასკვნის სახით, ანტი-დასავლური დისკურსი თანამედროვე საქართველოში კომპლექსურობით გამოირჩევა და ვარირებს „გათვლილი ამბივალენტურობიდან“ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობით გადმოცემულ ნარატივებამდე. ანტი-დასავლური, ულტრანაციონალისტური, არალიბერალური და ამავე დროს, რუსეთთან დაახლოებული პოლიტიკური ნაკრები თანაარსებობს საჯაროდ გაცხადებულ ამბიციასთან ერთად - გახდეს საქართველო ევროპული სტრუქტურების წევრი. ანტი-დასავლური განწყობები ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ამრიგად, დასავლეთთან დაახლოება ამ განწყობების შესახებ ღია დისკუსიისა და მკაფიო პოლიტიკის გარეშე არარეალისტურ მოცემულობად შეგვიძლია განვიხილოთ.

<u>მედია ანალიზი</u>

<u>1.</u>

<u>ივანიშვილი VS ოცნების ლიდერები – ვინ ვის ადანაშაულებს ივანიშვილის ფინანსურ შანტაჟში?</u>

ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მმართველ გუნდს ფინანსურ შანტაჟში აშშ და ევროკავშირი არასდროს დაუდანაშაულებია. რას ამბობდნენ *ქართულ ოცნების* ლიდერები?

"აშშ-ის საელჩო ვერ დაასახელებს ვერც პირადად ჩემი და ვერც ქართული ოცნების რომელიმე სხვა ლიდერის განცხადებას, სადაც ჩვენ ფინანსურ შანტაჟში აშშ-ს ან ევროკავშირს ვადანაშაულებთ", ეს ამონარიდია ქართული ოცნების დამფუძნებლისა და საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებიდან, რომელიც მან 1 ოქტომბერს გააკეთა. ამ განცხადებით ბიძინა ივანიშვილი "კრედიტ სუისთან" დაკავშირებით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფეისბუქ პოსტს გამოეხმაურა. საელჩომ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ივანიშვილი "კრედიტ სუისთან" დაკავშირებით ქართველებს სრულიად სხვა ამბავს უყვებოდა. "ბიძინა ივანიშვილმა იცის, რომ "კრედიტ სუისთან" დაკავშირებული ფული ბერმუდისა და სინგაპურის სასამართლოების ხელშია და არა - ამერიკის. რატომ უყვება ის ქართველებს სხვა ამბავს?" - ეწერა საელჩოს პოსტში.

ბიძინა ივანიშვილი "კრედიტ სუისს" რამდენიმე იურისდიქციაში ედავება და ბანკისგან დაახლოებით 800 მილიონ დოლარს ითხოვს. მისი თქმით, ფინანსისტ პატრის ლესკოდრონის ქმედებებით ის მნიშნელოვნად დაზარალდა.

ქართველი მილიარდერი აცხადებს, რომ "კრედიტ სუისში" მისი ოჯახის ანგარიშებზე მთლიანი ზარალი 1,2 მილიარდ დოლარზე მეტია.
დავის მორიგი ეტაპი კი რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ დაიწყო. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბანკმა ბიზნესმენის კუთვნილი 3.54 მილიარდი დოლარის ოდენობის ანგარიში გაყინა იმ მიზეზით, რომ თანხები შესაძლოა, რუსული წარმოშობის ყოფილიყო.

ვრცელ განცხადებაში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა საელჩოს ფეისბუქ პოსტის საპასუხოდ გაავრცელა, წერდა, რომ როდესაც საბანკო ანგარიშის ძარცვასა და ფინანსურ შანტაჟზე საუბრობდნენ, ოცნების ლიდერები ყოველთვის აკონკრეტებდნენ, რომ ამ შანტაჟის უკან არა აშშ ან ევროკავშირი, არამედ ის ძალები იდგნენ, რომლებსაც გლობალურ ომის პარტიად მოიხსენიებდნენ.

"ფინანსურ შანტაჟში აშშ ან ევროკავშირი ჩვენ მაშინაც კი არ დაგვიდანაშაულებია, როდესაც "კრედიტ სუისმა" თანხის არგადმორიცხვის მორიგ საბაბად ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია გამოიყენა. მეტიც, არაერთგზის დავაზუსტეთ, რომ გლობალურ ომის პარტიაში არც აშშ-ს და არც ევროკავშირს არ ვგულისხმობდით, თუმცა, იქვე ვაკონკრეტებდით, რომ გლობალურ ომის პარტიას აქვს პრინციპული გავლენა პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებზე როგორც აშშ-ში, ისე ევროკავშირში", განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ქართული ოცნების ლიდერები ხშირად არათუ აკონკრეტებდნენ, რომ "შანტაჟის" უკან აშშ და ევროკავშირი იდგა, არამედ პირიქით, დასავლელ პარტნიორებს ივანიშვილის ძარცვაში პირდაპირ ადანაშაულებდნენ.

ვის ადანაშაულებენ ქართული ოცნების ლიდერები ივანიშვილის "ძარცვაში"?

ევროპარლამენტი

2022 წლის ნოემბერში, ირაკლი კობახიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილს მუდმივად ემუქრებიან.

"ხან EPP, ხან ევროპარლამენტში ემუქრებიან… მისგან ელიან რაღაცას და იმის გამო, რომ ამ რაღაცას არ აკეთებს, ანუ არ ბრუნდება მისი ნების წინააღმდეგ პოლიტიკაში რაღაცის გასაკეთებლად, ამის გამო მიდის მასზე შანტაჟი არაფორმალური მეთოდებით, ანუ მოქმედებს ერთგვარი არაფორმალური სანქციები. მას გაჩერებული აქვს თანხები შვეიცარიაში", – ამბობდა პრემიერმინისტრი ირაკლი კობახიძე და მიანიშნებდა, რომ ევროპარლამენტში ივანიშვილისგან რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას ითხოვდნენ.
დედაქალაქის მერმა კი პირდაპირ თქვა, რომ "დე-ფაქტო სანქცირებულ" ბიძინა

ივანიშვილს საკუთარ ფულს იმიტომ არ უბრუნებენ, რომ მეორე ფრონტი გახსნას რუსეთის წინააღმდეგ.

"ჩნდება კითხვა – ვინ ან რატომ აჩერებს აღნიშნულ თანხებს, რატომ არ უბრუნებს ადამიანს თავის ფულს? ბიძინა ივანიშვილი არის დე-ფაქტო სანქცირებული. მას აშანტაჟებენ ქვეყნის ბედით, რომ გავხსნათ მეორე ფრონტი, შევუერთდეთ სანქციებს", – განაცხადა კალაძემ.

ევროპარლამენტი ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოა და ორგანიზაციის ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტია. ევროპარლამენტი ევროპის კავშირის საბჭოსთან ერთად ევროპულ კანონმდებლობას იღებს. მის წევრებს ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით 5 წელიწადში ერთხელ ირჩევენ. ევროპარლამენტის წინააღმდეგ კობახიძის განცხადებები კი ივანიშვილის შანტაჟში ევროკავშირის დადანაშაულების ტოლფასია.

აშშ

2024 წლის აპრილში ჟურნალისტებმა ქართული ოცნების აღმასრულებელ მდივანსა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, მამუკა მდინარაძეს ჰკითხეს, ელოდებოდა თუ არა სანქციებს დასავლელი პარტნიორებისგან, რადგან მასობრივი პროტესტისა და მკაცრი საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად ქართული ოცნება რუსული კანონის მიღებაზე უარის თქმას არ აპირებდა. მაშინ მდინარაძემ დასავლელ პარტნიორებზე დასმულ ამ შეკითხვას ასე უპასუხა: "ბიძინა ივანიშვილი მეტი რა უნდა დაასანქცირონ, ორი მილიარდი რომ გაჩერებულიყო, ამისთვის შვეიცარიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბანკი გააკოტრეს და ფაქტობრივი სანქციების ქვეშ არის ეს ადამიანი".

მსგავსი კომენტარი არაერთხელ ჰქონდა გაკეთებული პრემიერმინისტრსაც. ირაკლი კობახიძემ ნიუ -იორკში ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ შანტაჟი ახლა სანქციების შესაძლო დაწესებით გრძელდება.

"გრძელდება შანტაჟი ბატონი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. იცით, რომ ის ისედაც არის დე ფაქტო სანქციების ქვეშ, მას აქვს გაყინული ევროპაში 2 მლრდ აშშ დოლარი, თუმცა ახლა შანტაჟი გრძელდება უკვე სხვა ფორმით, ისმენთ მუქარას ფორმალური სანქციების დაწესებაზე. ვერც ასე და ვერც ისე ეს ადამიანები ვერ მიაღწევენ მიზანს", თქვა კობახიძემ.

კობახიძის თქმით, ის პირები თუ ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ივანიშვილისთვის გაყინულ 2 მლრდ აშშ დოლარზე, ახლა შანტაჟს სანქციების დაწესების მუქარით აგრძელებენ. მოსალოდნელი სანქციების შესახებ ინფორმაცია კი ძირითადად შეერთებული შტატების უმაღლესი დონის წარმომადგენლებისგან ვრცელდება.

22 სექტემბერს ამერიკის ხმამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ-ს ქართული ოცნების დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციები აქვს შემუშავებული და მის უახლოეს მომავალში დაწესებას განიხილავს. ამერიკის ხმის ცნობით, ეს ინფორმაცია, ამერიკის მთავრობის მაღალი თანამდებობის ორმა პირმა და ადმინისტრაციასთან დაახლოებულმა კიდევ ორმა წყარომ დაუდასტურა.

მანამდე კი სანქციებზე ილაპარაკა სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა. 16 სექტემბერს, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა ორ ქართველ თანამდებობის პირს – შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსს, ზვიად ხარაზიშვილს (ხარება) და მის მოადგილე მილერი ლაგაზაურს, ასევე ალტ-ინფოსთან ასოცირებულ კონსტანტინე მორგოშიას და ზურაბ მახარაძეს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სავიზო შეზღუდვები ასევე დაუწესა 60-ზე მეტ ქართველსა და მათ ოჯახის წევრებს, რომლებიც "პასუხისმგებელნი ან თანამონაწილენი არიან საქართველოში დემოკრატიის შელახვაში".

ენტონი ბლინკენმა დააანონსა, რომ ეს პროცესი ამით არ დასრულებულა და შეერთებული შტატები საპასუხო ზომების მიღებაზე მუშაობას გააგრძელებს.

ევროპული ბანკები

ევროპულ ბანკებს ივანიშვილის გაძარცვაში ადანაშაულებს კახა კალაძეც. ქართული ოცნების გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა უცხოურ ბანკებში საკუთარი აქტივები გაანულა და ამბობს, რომ ევროპულ ბანკებს აღარ ენდობა მას შემდეგ, რაც მათ ბიძინა ივანიშვილი "გაძარცვეს".

"ბიძინა ივანიშვილი დასანქცირებულია. რეალობა სახეზეა. ადამიანს, რომელმაც მოიგო ყველანაირი სასამართლო, თანხებს არ უბრუნებენ. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, დღევანდელ მსოფლიოში არანაირი სამართლიანობა არ არსებობს. ჯერ ნახეთ, ივანიშვილის მიმართ რა დამოკიდებულება აქვთ და რა უქნეს.

გაძარცვეს. სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით გაძარცვეს. რატომ უნდა ვენდო? რა თქმა უნდა, არ ვენდობი", — თქვა კახა კალაძემ.

რას ამბობს ხალხის ძალა?

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნების ლიდერების განცხადებებში პირდაპირ იკითხება მათი განზრახვა, ივანიშვილისა და "კრედიტ სუისის" დავაში, დასავლეთი დაადანაშაულოს, ისინი შედარებით ფრთხილი რიტორიკით გამოირჩევიან. იმას, რასაც პირდაპირ არ ამბობენ კობახიძე, კალაძე, ივანიშვილი და სხვა ლიდერები, მკაფიოდ და პირდაპირ აცხადებენ ხალხის ძალაში.

ეს პოლიტიკური გაერთიანება 2022 წელს ფორმალურად გამოეყო ქართულ ოცნებას და მას შემდეგ თავი დაგვამახსოვრა ისეთი ნაბიჯებითა და განცხადებებით, რომლებიც ქართულ ოცნებას პოლიტიკურ სვლებს უადვილებს. მაგალითად, ფორმალურად, "უცხოური გამჭვირვალობის შესახებ" კანონი სწორედ ხალხის ძალამ შეიმუშავა და დააინიცირა კიდეც 2023 წელს, თუმცა ოცნების ლიდერებს არაერთხელ უთქვამთ, რომ სინამდვილეში ეს მათი ინიციატივა იყო. გარდა ამისა, ხალხის ძალის ლიდერები ქართული ოცნების 2024 წლის საპარლამენტო სიის მოწინავე პოზიციებზეც მოხვდნენ,

ხალხის ძალა განსაკუთრებით აქტიურია ივანიშვილისა და "კრედიტ სუისის" დავასთან დაკავშირებით. ამ პოლიტიკური ძალის ლიდერები ივანიშვილის შანტაჟში არა მხოლოდ დასავლეთს ადანაშაულებდნენ, არამედ, ამ დავის გამო სპეციალური განცხადებით ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივის გადახედვასაც ითხოვდნენ.

"ვუერთდებით ცალკეული ექსპერტების მოწოდებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა ფართო დისკუსიის გაშლა ყველა თემაზე, რომელიც ევროკავშირში მიმდინარე პროცესებს, მის ღირებულებით ტრანსფორმაციას და, აქედან გამომდინარე, ევროკავშირში საქართველოს პერსპექტივას უკავშირდება", – წერია 2023 წელს ხალხის ძალის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

2.

რელიგიის წინასაარჩევნო ინსტრუმენტალიზაცია - ვინ (არ) ებრძვის ეკლესიას?

ქართული ოცნების ულტრა-მემარჯვენე პოპულისტური რიტორიკის კიდევ ერთი გამოხატულება რელიგიით მანიპულირებაა. მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნოდ ეკლესიის მცველის როლი მოირგო და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივითაც გამოვიდა. უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღების ერთ-ერთი არგუმენტი ქართული ეკლესიისა და საპატრიარქოს დაცვა იყო, იმის მტკიცებით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ქართულ ეკლესიას ებრძვიან.

21 აგვისტოს პარტიის ლიდერმა და დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ "26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ჩვენი ქვეყნის თანამოქალაქეებს უწევთ არჩევანის გაკეთება...მორალურ დაცემასა და ქრისტიანულ ფასეულობებს შორის".

25 აგვისტოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ "თვალსაჩინოა, თუ რა ფინანსური და ადამიანური რესურსი იხარჯება რწმენის, ტრადიციებისა და ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორი გააფთრებით ებრძვიან ეკლესიას... ვლოცულობთ ჩვენს სალოცავებში, თუ ვაღმერთებთ სხვათა კერპებს?"

მსგავსი რიტორიკა გაიმეორა პარლამენტის სპიკერმა რამდენჯერმე ჯერ 19 სექტემბერს "დღეს უნდათ, რომ სწორედ ეს იდენტობა გამოგვაცალონ, რომ არც კი ვიცოდეთ ვინ ვართ, რა გვწამს, ვისი გორისანი ვართ. რომ მერე თავად გვითხრან ვინ უნდა ვიყოთ, რა უნდა გვწამდეს", და შემდეგ 29 სექტემბერს "შეგვიგინეს ერეკლე მეფე, წაგვიბილწეს ღვინო, შეურაცხყვეს ჩვენი ეკლესია. ეს არის მათი ევროპული გზა. უნდათ უღმერთო, უისტორიო, უპიროვნებო ადამიანთა ჯგუფად გვაქციონ".

ვინ (არ) ებრძვის ეკლესიას?

ქართული ოცნება როგორც წინა საარჩევნოდ, ისე წინა პერიოდშიც ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში არასამთავრობო ორგანიზაციებს ადანაშაულებს, რომლებიც, მათი განცხადებით, არა ეროვნული ინტერესების, არამედ უცხოური ძალების გამტარებლები არიან და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაც მათი დასავლელი დონორების დაკვეთაა.

რეალურად, დასავლეთი ქართული ეკლესიისა და კულტურული იდენტობის შენარჩუნებას ხელს უწყობს, რისი დასტურიც ევროპული და ამერიკული გრანტებით აღდგენილი ისტორიული ძეგლებია.

აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი (AFCP)

2021 წელს აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი (AFCP) შეიქმნა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას ემსახურება. აღნიშნული ფონდის ფარგლებში 21 წელში აშშ-მ $2 000 000 გასცა ქართული კულტურული ძეგლების აღსადგენად, რომელთა შორისაა:

გელათის მონასტერი - მონასტრის ფრესკების რესტავრაცია, არქიტექტურული სტრუქტურის გადაუდებელი სტაბილიზაცია, ბათქაშისა და ფერწერული ფენების გამაგრება, მარილების მოშორება, მოჭიქული კერამიკით დახურვა, ქვის ფილების გაწმენდა.

ხახულის კარედი - ხატის კონსერვაცია და ახალ გამოფენაზე გატანა.

არბოს წმ. გიორგის ეკლესია და ტირძნისის წმ. სამების ეკლესია კონფლიქტის ზონაში - კონფლიქტის შედეგად დაზიანებული ეკლესიების რეაბილიტაცია.

სვანეთის ეთნოგრაფიისა და ისტორიის მუზეუმში დაცული ხატების რეაბილიტაცია

გარეჯას უდაბნოს დასავლეთ გარეუბანში მდებარე ორი მონასტერი - თეთრი უდაბნოს ფრესკების რესტავრაცია.

XII-XIII საუკუნეების სახარება - ბერთის, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებების ლითონით მოჭედილი ყდების რესტავრაცია.

უფლისციხე - კრიტიკული უბნების გამოვლენა, კომპლექსური მონიტორინგის სისტემის დანერგვა, მთის ქანების დაშლის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

ატენის სიონი - ნაგებობისა და მხატვრობის რეაბილიტაცია.

ჯვრის მონასტერი - მთავარი ტაძრის ფასადებზე დაზიანებული მოსაპირკეთებელი ქვის კონსერვაცია.

აშშ-ის მხარდაჭერით აღდგა მიწისძვრის შედეგად დაზიანებული იკორთის ტაძარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფიტარეთის ტაძარს.

სამოქალაქო საზოგადოების ფონდი (ყოფილი ღია საზოგადოების ფონდი)

სამოქალაქო საზოგადოების ფონდმა (ყოფილი ღია საზოგადოების ფონდი) კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად 20 წელიწადში 1 500 000$-ით 365 პროექტი დააფინანსა, მათ შორისაა:

სხალთის ტაძრის, ცხავატის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის, აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის ტაძრის, ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესიის გამაგრება, ყინწვისის ანგელოზის ფრესკის რესტავრაცია;

ბოდბის წმ. ნინოს ტაძრის, თეძმის ხეობის ნათლისმღებლის ეკლესიის, დავით გარეჯის კედლის მხატვრობის, ბეთანიის მონასტრის ფრესკების და ასპინძის ეკლესიების კედლის მხატვრობის აღწერა და დაარქივება; სინას მთის აღმოცენების ფოტო ფიქსაცია.

სხვა დასავლური გრანტებით დაფინანსდა სხვადასხვა ეკლესიებისა და საკრალური ნივთების რესტავრაცია, მაგალითად:

ევროპის საბჭოს დახმარებით ნიქოზის მონასტრის რესტავრაცია მოხდა, ნიდერლანდების დაფინანსებით კი აღმოიფხვრა ალავერდის კათედრალისთვის წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზიანი და რესტავრაცია ჩაუტარდა იკვის ტაძრის XII-XIII საუკუნეების კედლის მხატვრობას.

ეს მცირე ჩამონათვალია იმ დახმარებისა, რომელსაც დასავლური ფონდები ქართული უნიკალური კულტურის შესანარჩუნებლად გამოყოფს.

დასავლეთის დახმარების პარალელურად, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მძიმე მდგომარეობაშია. მაგალითად, გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფელ დრანდაში მდებარე დრანდის ტაძარი 2011 წელს გადაღებეს, ათამდე ვერცხლისფერი კარ-ფანჯარა დაამონტაჟეს და მიწის ფენა ტაძრის გარშემო მთლიანად მოხსნეს. თეთრად გადაღებეს ილორის ტაძარიც, რასაც ქართული უნიკალური ფრესკები და წარწერები შეეწირა. ისტორიის განმავლობაში რუსეთი ხშირად ანადგურებდა დაპყრობილი ტერიტორიებზე არსებულ ტაძრებს, მათ შორის,

დაზიანებულია ბედიის ტაძარში არსებული ბაგრატ III-ის ერთადერთი ფრესკა. რუსეთი ტაძრებს უკრაინაშიც ვანდალურად ანადგურებს. New York Times-ის ცნობით, ომის დაწყების შემდეგ რუსეთმა 900-ზე მეტი სკოლა, ეკლესია და საავადმყოფო გაანადგურა.

მანამ, სანამ მმართველი პარტია არა-სამთავრობო სექტორისა და მათი დონორების ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებს, მძიმე მდგომარეობაშია გელათის მონასტერი, რომლის სახურავი, კედლის მხატვრობა და ღვთისმშობლის უნიკალური მოზაიკა რესტავრაციას და შეკეთებას საჭიროებს. დაზიანებული სახურავიდან წყალი ჩამოდის, რაც კედლის მხატვრობასა და შუა საუკუნეების ფრესკებს ანადგურებს. ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, გელათში არსებული მდგომარეობა ნეპოტიზმისა და სამსახურებრივი გულგრილობის შედეგია. კულტურის სამინისტროს არასაკმარისი მუშაობის შემდეგ, გელათის რეაბილიტაციის პროცესი საპატრიარქომ გადაიბარა, თუმცა რესტავრაციის პროცესი კვლავ ჭიანურდება და კედლის მხატვრობა კვლავ ზიანდება.

რელიგიითა და ეკლესიით მანიპულირების კიდევ ერთი დასტური საქართველოს საეკლესიო პირების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონო მოსმენებია.

3.

ევროკავშირის დირექტივა და უცხოელი აგენტების კანონი

11 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერმინისტრმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა:

"დაინიცირდა ევროკავშირში "გამჭვირვალობის კანონი", იმის ანალოგიური კანონი, რაც ჩვენ საქართველოში მივიღეთ და რასაც, მათ შორის ევროკავშირის წარმომადგენლებმა "რუსული კანონი" უწოდეს. განმარტებით ბარათში პირდაპირ უწერიათ ასეთი რამ - იმის გამო შეაჩერეს ევროკავშირში ანალოგიური კანონის მიღება, რომ მერე აღარ ექნებოდათ მორალური უფლება საქართველოსთვის ამ კანონის გამოხმობა მოეთხოვათ. ეს ხომ ყველაფრის ლუსტრაციაა?! ხალხი პირდაპირ აღიარებს, რომ კანონი არის კარგი, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში ეს კანონი არ უნდა მოქმედებდეს, თავადაც არ იღებენ ამ კანონს".

2023 წლის 12 დეკემბერს ევროკავშირმა "დემოკრატიის დაცვის" პაკეტი ნამდვილად მიიღო. აღნიშნული პაკეტის ცენტრალური ნაწილია ევროკავშირის მიერ დირექტივის შეთავაზება "ინტერესების წარმომადგენელთა საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ, რომლებიც მესამე ქვეყნების სახელით ხორციელდება".

აღნიშნული დირექტივის პროექტს მმართველი პარტიის წარმომადგენლები ხშირად უწოდებენ საქართველოში ინიცირებული "რუსული კანონის" ანალოგს; შალვა პაპუაშვილის განცხადების მიხედვით, "ევროკავშირის დირექტივას საქართველოში დაინიციირებული კანონპროექტის ანალოგიური სულისკვეთება და შინაარსი აქვს". თუმცა, მიუხედავად ცალკეული მსგავსებებისა, დირექტივა და მმართველი პარტიის მიერ მიღებული კანონი ძირეულად განსხვავდება.

ევროკავშირის მიერ წარმოდგენილი დირექტივა უცხოური ჩარევისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ძალისხმევის მხარდასაჭერად დაინიციირდა. ის ფოკუსირდება იმ სუბიექტებზე, რომლებიც მესამე ქვეყნის ინტერესების წარმოდგენის აქტივობებს ახორციელებენ (როგორებიც არიან ლობისტები) და უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მიდგომის ჰარმონიზაციას ისახავს მიზნად, რათა ევროკავშირში საერთო გამჭვირვალობის სტანდარტები უზრუნველყოს.

ასევე, საქართველოში მიღებული "უცხოელი აგენტების" კანონისგან განსხვავებით, დირექტივა სუბიექტებს უცხოური დაფინანსების მიღების გამო სამიზნეში არ იღებს და ის კონკრეტულად სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიაზე დამიზნებული არ არის.

გარდა ამისა, დირექტივა მოიცავს გარანტიებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზომები იყოს პროპორციული, არ მოხდეს რომელიმე აქტორის დისკრიმინაცია ან სტიგმატიზაცია და არანაირად არ შეზღუდოს ისეთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური უფლებების განხორციელება, როგორებიცაა: გამოხატვის ან გაერთიანების თავისუფლება, მაშინ როცა *ქართული ოცნება* კანონპროექტების ჯერ კიდევ 2023 წელს დაინიციირებამდე ერთი წლით ადრე სამოქალაქო სექტორისა და კრიტიკული მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებს აგენტებს უწოდებდა და მათ დისკრედიტაციას ცდილობდა.

ევროკავშირისგან განსხვავებით, ქართული კანონი არ წარმოადგენს დემოკრატიის ხარისხისა და გამჭვირვალობის დაცვის რაიმე ფართო პაკეტის ნაწილს. ის ცალკე მდგომი კანონია, რომელიც, მისივე ინიციატორების თანახმად, გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მმართველი პარტიის პოლიტიკური ოპონენტების მიერ უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების გამჭვირვალობისა და საჯაროობის გაზრდას ისახავს მიზნად.

ასევე, იმის მტკიცება, რომ ევროკავშირი საქართველოს გამო არ იღებს აღნიშნულ კანონს სრულიად აზრს მოკლებულია. საუბრები აღნიშნულ კანონზე ჯერ კიდევ 2022 წლის სექტემბერში დაიწყო. ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა, ევროკავშირის მდგომარეობასა და სამომავლო პოლიტიკის ინიციატივებზე სიტყვით გამოსვლისას, ახსენა, რომ უცხოური დაფინანსების შესახებ საკანონმდებლო წინადადება უკვე დამუშავების პროცესში იყო. თავდაპირველად მისი წარდგენა 2023 წლის გაზაფხულზე იყო დაგეგმილი, თუმცა, კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან დღემდე მიმდინარეობს.

4.

"ქართული ოცნების" ანტიდასავლური ნარატივებიდან: ევროკავშირი vs. საბჭოთა კავშირი

დასავლური ინსტიტუტები საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას დემოკრატიული უკუსვლის გამო ხშირად აკრიტიკებენ. მმართველი პარტიის წარმომადგენლები კრიტიკის საპასუხოდ თავად დასავლურ ინსტიტუტებს ესხმიან თავს. 14 ოქტომბერს თბილისის მერმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ "რასაც ისინი [ევროკავშირი] კადრულობენ და აკეთებენ, არაფრით განსხვავდება საბჭოთა კავშირისგან. ევროპას რატომ აქვს ფასი? იმით, რომ განსხვავებული სახელმწიფოები არის იქ, რომელსაც თავისი კულტურა, ტრადიციები აქვთ - თუ ამ ყველაფერს ხაზი გადავუსვით და ერთნაირად დაშტამპულები უნდა ვიყოთ, რა მნიშვნელობა აქვს, საბჭოთა კავშირის სტატუსი იქნება თუ ევროკავშირის?". მსგავსი ტიპის განცხადება მმართველი პარტიის წარმომადგენლებს სხვა დროსაც გაუკეთებიათ. 2023 წლის თებერვალში ირაკლი კობახიძემ ევროპარლამენტის რეზოლუციაზე საუბრისას განაცხადა, "რა სჭირს ევროპარლამენტს არ ვიცი. მაქსიმალურად ვუფრთხილდებოდით ჩვენ ევროკავშირის ინსტიტუტებს და სწორედ ამიტომ, აქცენტს ვაკეთებდით კონკრეტულ ევროპარლამენტარებზე. ამ შემთხვევაში საზოგადოება ხედავს, რომ ეს არის სისტემური პრობლემა, რომელიც აქვს ამ ინსტიტუტს, რასაც ჰქვია ევროპარლამენტი. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა. ასეთი გადაწყვეტილება, მე პირდაპირ ვიტყვი, შეშურდებოდა, საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოსაც. მე კარგად მახსოვს 80-იანი წლების ბოლო, მაშინ, რაც ხდებოდა, გადაიცემოდა ხოლმე საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს სხდომები. ის, რაც ხდებოდა, იგივე მოხდა დღეს და წინა ორი რეზოლუციის შემთხვევაში ევროპარლამენტში".

არადემოკრატიული ძალები ევროსკეპტიციზმის გასაღვივებლად და მათდამი კრიტიკის გასაქარწყლებლად ევროკავშირსა და საბჭოთა კავშირს ხშირად აიგივებენ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირსა და ევროკავშირს შორის პარალელის გავლება აბსურდულია, არადემოკრატიული ძალები აღნიშნულ ნარატივს ანტიდასავლური სენტიმენტების გასაძლიერებლად ხშირად მიმართავენ.

ევროკავშირი ≠ საბჭოთა კავშირი

ევროკავშირი და საბჭოთა კავშირი ფუნდამენტურად განსხვავდება პრინციპების, ღირებულებების, მართვის სტილისა თუ სტრუქტურის მიხედვით.

საკუთარი სურვილით გაწევრიანება ≠ იძულებით შეერთება

ევროკავშირი რამდენიმე ათწლეულს ითვლის და დღეს მასში 27 სახელმწიფოა გაერთიანებული. ორგანიზაციაში გაწევრიანებისა, თუ დატოვების პროცესი სრულად სახელმწიფოთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. გაფართოების პროცესში სახელმწიფოები ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურებით უახლოვდებიან ევროკავშირის სტანდარტებს, თუმცა, დემოკრატიულ პრინციპებთან თავსებადობა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. ორგანიზაციის დატოვებაც სახელმწიფოების გადაწყვეტილებაა, როგორც ეს დიდმა ბრიტანეთმა გააკეთა 2020 წელს. საბჭოთა კავშირი კი 15 სახელმწიფოს იძულებითი გაერთიანებით შეიქმნა. მათ შორის იყო საქართველოც, რომლის ოკუპაცია 1921 წელს მოხდა. ამასთან, კავშირის დატოვება სახელმწიფოებისთვის შეუძლებელი იყო, მიუხედავად კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერისა. 1956 წელს უნგრეთის და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიის მიერ ვარშავის პაქტის დატოვების მცდელობა სასტიკად იქნა ჩახშობილი.

დემოკრატია ≠ ტოტალიტარიზმი

დემოკრატიული მმართველობა, ადამიანის უფლებების დაცვა და საბაზრო ეკონომიკა ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებები და ორგანიზაციაში გაწევრიანების 1993 წელს მიღებული კოპენჰაგენის კრიტერიუმებია. ევროკავშირი დემოკრატიული ორგანიზაციაა და გადაწყვეტილების მიღება წევრი სახელმწიფოების მიერ დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლების მიერ ხდება. ამის პარალელურად, საბჭოთა კავშირი ტოტალიტარული სახელმწიფო იყო, რომელშიც კომუნისტური პარტია დომინირებდა და ავტორიტარი ლიდერი ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებდა. არსებული რეჟიმის პირობებში სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები და დემოკრატიული ღირებულებები სასტიკად იზღუდებოდა, არჩევნებს კი ფორმალური დატვირთვა ჰქონდა, რომელიც ხალხის მმართველობას ვერ უზრუნველყოფდა.

საბაზრო ეკონომიკა ≠ გეგმიური ეკონომიკა

ევროკავშირი საბაზრო ეკონომიკაზეა დაფუძნებული, რომელიც სხვადასხვა რეგულაციასაც მოიცავს, თუმცა, ეკონომიკური აქტივობა თავისუფალი ბაზრის პირობებში, კერძო საკუთრებისა და კონკურენციის დაცვით ხორციელდება. საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს გეგმიური ეკონომიკაზე სრული კონტროლი ჰქონდა, კერძო საკუთრება, არ არსებობდა, ეკონომიკური სიდუხჭირე და პროდუქციის დეფიციტი კი სტანდარტად იყო ქცეული. ევროკავშირი კი სიმდიდრითა და კეთილდღეობის სახელმწიფოებით გამოირჩევა.

სუვერენიტეტი ≠ ცენტრალიზებული კონტროლი

ევროკავშირის სახელმწიფოები სუვერენიტეტსა და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების მანდატს ინარჩუნებენ. სავაჭრო ან გარემოს დაცვის რეგულაციების პირობებშიც კი სახელმწიფოები დამოუკიდებლები არიან. საბჭოთა კავშირის 15 წევრი კი ფორმალურად რჩებოდა სახელმწიფო, რომელთაც მცირე ავტონომია ჰქონდათ და მოსკოვის ცენტრალური მთავრობიდან იმართებოდნენ.

მულტიკულტურალიზმი ≠ მონოკულტურალიზმი

ევროკავშირი ადამიანის უფლებების პრიმატზეა დაფუძნებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უმცირესობების უფლებებსა და მათ დაცვას ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაციისგან. აღნიშნულ ინსტიტუტში პატარა სახელმწიფოების კულტურული მახასიათებლებიც დაცული და წახალისებულია. მეტიც, ევროკავშირი არაწევრ სახელმწიფოებსაც ეხმარება თავიანთი კულტურული იდენტობის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში, მათ შორის საქართველოსაც. საბჭოთა კავშირში კი უმცირესობების უფლებების დარღვევასთან ერთად ერების პოლიტიკური თუ კულტურული იდენტობა იზღუდებოდა და დიდი მნიშვნელობა რუსული კულტურის გაძლიერებას ენიჭებოდა. საკმარისია გავიხსენოთ, 1978 წელს სსრკ-ის მცდელობა საქართველოს სახელმწიფო ენა რუსული ენით ჩაენაცვლებინა.

ომის შიში

WORSE THAN WAR IS THE VERY FEAR OF WAR.

- SENECA THE YOUNGER -

„ქართულმა ოცნებამ“ გააძლიერა მეტა-ნარატივი, რომლის მიხედვითაც მათი მმართველობის გარეშე საქართველო **ომის წინაშე** აღმოჩნდება. ეს ნარატივი შიშს აღვივებს და მმართველ პარტიას ერთადერთ გზად წარმოსახავს მშვიდობის შესანარჩუნებლად. ნარატივი მმართველ პარტიას საზოგადოებრივ განწყობებზე მანიპულაციის საშუალებას აძლევს, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრობისა და დასავლურ ალიანსებთან ურთიერთობის საკითხებში. ხელისუფლების წარმომადგენლები არაერთხელ აცხადებდნენ, რომ საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომი თავად დაეწყო, რაც ევროპული საბჭოს რეზოლუციის არასწორ ინტერპრეტაციას ეყრდნობა. ამ რეზოლუციის დამახინჯებულ ინტერპრეტაციას სამთავრობო მედიაც ხშირად იმეორებს, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი არც საქართველოს ადანაშაულებს და არც რუსეთის ქმედებებს ამართლებს; ამ დეზინფორმაციის მიზანია მოსახლეობაში განახლებული კონფლიქტის შიშის დანერგვა, რათა ქართული ოცნება ომის პრევენციის პარტიად წარმოჩინდეს და საერთაშორისო ანგარიშები საკუთარი ნარატივის გასამართლებლად გამოიყენოს.

პოლიტიკური ანალიზი
ომის შიშის ინსტრუმენტალიზაცია

ქართული ოცნების მეტა-ნარატივების პროცესის ანალიზის შედეგად ნათლად იკვეთება, თუ რამდენად მკაფიოდ სტრუქტურირებულია მმართველი პარტიის წინასაარჩევნო საინფორმაციო კამპანია. მათი ძირითადი მესიჯი, რომ *„ქართული ოცნების* ხელისუფლებაში არყოფნის შემთხვევაში, საქართველოში ომი იქნება“ – არის იმის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ იღებს მიზანში მმართველი პარტია მკაფიო კონტექსტური ფოკუსითა და მარტივი გზავნილებით საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებს.

ქართული ოცნების წინასაარჩევნო ნარატივში აგრეთვე დომინირებს ზოგადი ბრალდება, რომ ყველა პოლიტიკური ოპონენტი ქვეყანას ომისკენ უბიძგებს. აღნიშნული ნარატივი მხარდაჭერილია ე.წ. “გლობალური ომის პარტიის” მითით, რომელსაც ამ ეტაპზე, მმართველი პარტია არ მიაკუთვნებს რომელიმე კონკრეტულ ქვეყანას ან საერთაშორისო ინსტიტუციას, მაგრამ ამავდროულად აცხადებს, რომ ეს “ჯგუფი” იმდენად გავლენიანია, რომ შეუძლია დასავლეთის პოლიტიკის პროცესის ფორმირება ზე მოახდინოს გავლენა. აგრეთვე, მმართველი პარტია ღიად აცხადებს, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის სურვილი არის ერთგვარი კეთილი ნების გამოვლინება და საქართველოს ევროპის კავშირში “ღირსებით” უნდა გაწევრიანდეს, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ მასზე არ უნდა გავრცელდეს გაწევრების ზოგადი სტანდარტები. თუ ევროკავშირში “ღირსებით” გაწევრება არ იქნება შესაძლებელი და ბრიუსელი დაჟინებით მოითხოვს არსებული გაწევრების მოთხოვნების შესრულებას, საქართველო აირჩევს “ღირსების” შენარჩუნებას და უარს იტყვის ევროპის კავშირის წევრობაზე. ამის შემდეგ, მმართველი პარტიის გეგმით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ძირითადად დაეფუძნება მსხვილი საერთაშორისო მოთამაშეების (დასავლეთი, რუსეთი და ჩინეთი) დაბალანსების მცდელობას.

ზემოხსენებული ომი vs. მშვიდობა ნარატივი მმართველი პარტიის საინფორმაციო პროპაგანდის სამ განზომილებას მოიცავს: ომის ბუნებრივი ფსიქოლოგიური შიშის პარალელურად, *ქართული ოცნება* აჟღერებს ევროკავშირში და ნატო-ში საკუთარი პირობებით დაახლოების გზავნილს და აღნიშნულის არ გამოსვლის შემთხვევაში *ქართული ოცნება* პოტენციური ზიანის დაბალანსებას ე.წ. სტრატეგიული

მიუმხრობლობის ალტერნატივით გვთავაზობს. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მმართველობის წინა პერიოდებთან შედარებით, *ქართული ოცნების* მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანია ნამდვილად გამორჩეულია.

კრემლის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის წამოწყებიდან მალევე *ქართულმა ოცნებამ* საზოგადოებაში ომის შიშის კულტივაცია დაიწყო. თუმცა, მხოლოდ 2023 წლის ბოლოს, 2024 წლის დასაწყისში როდესაც მმართველი პარტიის მიერ ხელოვნურად აგორებულმა ანტი-ლგბტ პროპაგანდამ არ გამოიტანა შედეგი, ძირითადი ადგილი საინფორმაციო სივრცეში დაიკავა ომის შიშის ნარატივმა. ნაწილობრივ ეს გადაწყვეტილება შესაძლოა აიხსნას იმით, რომ *ქართული ოცნების* მიერ შარლ მიშელის გეგმის და ევროკავშირის 9 რეკომენდაციის ღია საბოტაჟის მიუხედავად, ბრიუსელმა მიანიჭა საქართველოს კანდიდატის ქვეყნის სტატუსი. როგორც ჩანს, მმართველ პარტიას ევროკავშირისგან უფრო ხისტი ნაბიჯების მოლოდინი ჰქონდა, რაც მნიშვნელოვნად დააშორებდა საქართველოს და ევროპის კავშირს და ფაქტობრივად შეაჩერებდა გაწევრების შესახებ მოლაპარაკებებს. ევროკავშირის მხრიდან უფრო ხისტი ზომები მისცემდა *ქართულ ოცნებას* წევრობისთვის საჭირო ნაბიჯების არგადადგმის ფორმალური დასაბუთების საშუალებას და ამავდროულად მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში გაამარტივებდა შიდა აუდიტორიისთვის მკაფიო პოლიტიკური დილემის ჩამოყალიბების პროცესს: არა *ქართულ ოცნებას* – ნიშნავს ომს.

აღნიშნული ნარატივის გასაძლიერებლად *ქართულმა ოცნებამ* დააანონსა ე.წ. რუსული კანონი ("გამჭვირვალობის შესახებ კანონი") და სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობას ხელოვნურად მიაკერა უცხოური გავლენის გამტარებლის სტატუსი. მმართველი პარტიის პროპაგანდის მიხედვით, უცხოური აგენტის სტატუსის მქონე ორგანიზაციები უცხოეთიდან იღებენ დაფინანსებას და ხელს უწყობენ ქვეყანაში დასავლური დღის წესრიგის გავრცელებას რაც პირველ რიგში გულისხმობს „მეორე ფრონტის" გახსნას და რუსეთთან ომის დაწყებას. *ქართული ოცნებისთვის* ნათელი გახდა, რომ აღარ დარჩა არცერთი საკმარისად რეზისტენტული თემა, რომელზეც მათ შეეძლოთ ელექტორალური კაპიტალიზაცია და დამატებით მხარდაჭერის მობილიზაცია. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანაში ობიექტურად არ ფიქსირდება წინსვლა რომელიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით, ამიტომაც, მმართველი პარტია წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში არ ფოკუსირდება არცერთ სხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ საკითხზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ "რუსული კანონის" მიღებს შემდეგ *ქართული ოცნების* რეიტინგი მნიშვნელოვნად შემცირდა და

ამავდროულად ურყევი დარჩა საზოგადოების უმრავლესობის სურვილი, რომ საქართველოს გახდეს ევროკავშირის და ნატო-ს წევრი. აღნიშნულიდან გამომდინარე, “მშვიდობის შენარჩუნების” გზავნილი არის ერთადერთი ღირებული გზავნილი მმართველი პარტიის წინასაარჩევნო საინფორმაციო არსენალში.

ტიპური რუსული პროპაგანდის მსგავსად, *ქართული ოცნების* წინასაარჩევნო კამპანია ეფუძნება ნახევრად სიმართლეების ტირაჟირებას, ფაქტებით მანიპულაციას და ძირითადად ავრცელებს მოკლე მარტივი შინაარსის გზავნილებს რომელიც მკაფიოდ აღიბეჭდება ხალხის გონებაში და გავლენას ახდენს ძირეულ აღქმებზე. ზემოხსენებულის ნათელი მაგალითია გზავნილი, რომ გლობალური ომის პარტია (და არა რუსეთი) არის უკრაინაში ომის დაწყებაზე პასუხისმგებელი. სამწუხაროდ *ქართული ოცნების* მიერ გავრცელებულმა არ გზავნილმა საკმაოდ კარგად მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოებაში, რადგან მმართველი პარტია ამახვილებს ყურადღებას დასავლეთის უუნარობაზე გამოყოს საკმარისი სამხედრო დახმარება რუსეთის დასამარცხებლად და ამავდროულად მათ არ სურთ მიიღონ უკრაინა და საქართველო ნატოში, რათა შეაჩერონ რუსეთის აგრესია. შესაბამისად, მმართველი პარტია ქმნის ნარატივს, რომლის მიხედვითაც, დასავლეთი მანიპულირებს უკრაინაში მიმდინარე ომით და ამავდროულად ხაზს უსვამს დასავლური სამყაროს ზოგად სისუსტესა და უუნარობას.

მედია ანალიზი
1.
"ომი საქართველომ დაიწყო" და სხვა დეზინფორმაციული ნარატივები წინასაარჩევნო კამპანიაში

14 აგვისტოს *ქართული ოცნების* პოლიტსაბჭომ განცხადება გაავრცელა სადაც ნათქვამია:

"არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყება მათ [ნაცმოძრაობა] ჯერ ევროსაბჭოს რეზოლუციის ხელმოწერით, ხოლო შემდეგ ტალიავინის დასკვნაზე დათანხმებით აღიარეს, ხოლო რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საპასუხო და სამართლებრივად დასაბუთებულ ქმედებად გამოაცხადეს".

მალევე, 15 სექტემბერს იგივე ნარატივი გაჟღერდა პროსახელისუფლებო მედია საშუალება POSTV-ზეც:

"ნაცმოძრაობის სახელით 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყება აღიარეს და დოკუმენტს ხელი მოაწერეს: გიორგი კანდელაკმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა, გიორგი გაბაშვილმა, გივი თარგამაძემ და აკაკი მინაშვილმა".

ანალოგიური ნარატივი გაიმეორა საქართველოს პრემიერმინისტრმა, ირაკლი კობახიძემ 17 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე, სადაც განაცხადა:

"ომი სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო, რასაც მოგვიანებით, თვითონ სააკაშვილის რეჟიმის ლიდერებმა ხელი მოაწერეს. ალბათ, იცნობთ ევროსაბჭოს რეზოლუციას, სადაც გარკვევით წერია, რომ 7 აგვისტოს ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო და მერე იქვე წერია, რომ ამას რუსეთის საპასუხო შეტევა მოჰყვა".

იგივე ნარატივი გაიმეორა მმართველი პარტიის ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმაც, ქვემო ქართლში, 19 სექტემბერს წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სიტყვით გამოსვლის დროს, სადაც აღნიშნა:

"2008 წლის ომი, გარე დაკვეთით, სწორედ ნაციონალებმა დაიწყეს, თუმცა, არცერთ მათგანს მცდელობაც კი არ ჰქონია, თავი ემართლებინა".

სოხუმის დაცემის დღეს პრემიერმინისტრმა კობახიძემ მსგავსი გზავნილები გააჟღერა:

"2008 წელს ომი დაიწყო სააკაშვილის რეჟიმმა, რაც მოგვიანებით აღიარა ევროსაბჭოს რეზოლუციის ხელმოწერით. სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო და მერე ხელი მოაწერა დასკვნას, ევროსაბჭოს რეზოლუციას, სადაც წერია, რომ სააკაშვილის რეჟიმის თავდასხმას უპასუხა საპასუხო იერიშით რუსეთის ფედერაციამ... ომში დამნაშავე როგორ არ არის, [რუსეთმა] ოკუპაცია განახორციელა ჩვენი ტერიტორიების, მაგრამ ომი დაიწყო სააკაშვილის რეჟიმმა".

სინამდვილეში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში ომის დაწყებაში რომელიმე მხარე დადანაშაულებული არაა. მერვე პუნქტში განხილულია ომის დაწყების საკითხი, სადაც აღნიშნულია:

"ასამბლეას სწამს, რომ შერიგების წინაპირობა არის სიმართლე. ვინაიდან ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო ომი, ვერ თანხმდება ვერცერთი მხარის მხრიდან, ეს ფაქტები უნდა დადგინდეს ობიექტურად, დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების მიერ. საქართველოს ხელისუფლება მიესალმება ამგვარი საერთაშორისო გამოძიების წარმოებას და პარლამენტის რუსი წევრებიც აცხადებენ, რომ არ იქნებიან ამგვარი შეთავაზების წინააღმდეგნი. გამოძიება არ უნდა შემოიფარგლოს ომის დაწყების მომენტით და უნდა ფოკუსირდეს ასევე იმ წლებზე, რომლებმაც კონფლიქტამდე მიგვიყვანა".

რეზოლუციის ის ნაწილი, რომელსაც სახელისუფლებო საშუალებები ომის დაწყების აღიარებად წარმოაჩენენ, სინამდვილეში ეხება მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციის ახალ, სრულმასშტაბიან ფაზაზე გადასვლას. რეზოლუციის მე-4 და მე-5 პუნქტებში წერია, რომ ომის დაწყებას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი ესკალაცია, უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესება და სამხედრო ძალის გამოყენება იქცა ერთ-ერთ შესაძლებელ სცენარად მხარეებისთვის.

ევროსაბჭოს რეზოლუცია არა მხოლოდ უარყოფს საქართველოს მხარის პასუხისმგებლობას ომის დაწყებაზე, არამედ წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, სადაც მკაცრად არის დაგმობილი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარება. რეზოლუციაში აღნიშნულია რუსეთის ქმედებები, როგორც ოკუპაცია და ხაზგასმულია რუსეთის მიერ იმ ტერიტორიებზე ეთნიკური წმენდის

აღკვეთის უუნარობა, სადაც ეფექტურ კონტროლს რუსული სამხედრო ძალები ახორციელებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ დოკუმენტის საბოლოო კენჭისყრისას რუსეთის დელეგაციამ მის წინააღმდეგ მისცა ხმა, რადგან მასში გამოთქმული ბრალდებები მიუღებელი აღმოჩნდა რუსული მხარისთვის.

რეზოლუციაში არ არის მითითებული, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ამიტომ ირაკლი კობახიძისა და მმართველი პარტიის სხვა ლიდერების განცხადებები ევროსაბჭოს რეზოლუციაზე დაყრდნობით, თითქოს 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო და იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ეს ყველაფერი აღიარა, არ შეესაბამება რეალობას და წარმოადგენს დეზინფორმაციულ ნარატივს, რომელიც არ ითვალისწინებს დოკუმენტის ნამდვილ შინაარსსა და კონტექსტს.

ომის დაწყების თარიღით მანიპულაცია

პრემიერმინისტრი, ირაკლი კობახიძე აგვისტოს ომის 16 წლისთავთან დაკავშირებით მუხათგვერდში 7 აგვისტოს ნაცვლად 8 აგვისტოს მივიდა და აღნიშნა:

> "არ მგონია, რომ თარიღთან დაკავშირებით ეს სპეკულაციები იყოს სერიოზული. გახსოვთ, რომ ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები ამ თარიღს აღნიშნავდნენ წლების განმავლობაში 8 აგვისტოს და რამდენიმე წლის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ თურმე 7 აგვისტოს დაწყებულა ომი. ეს სპეკულაციებია, რომლებსაც არ აქვს საფუძველი, ერთადერთი მიზანი არის ის, რომ რაღაცნაირად გახლიჩონ ამ ყველაფერშიც საზოგადოება".

ასევე, მმართველმა პარტიამ 7 აგვისტოს განცხადება გამოაქვეყნა სადაც მაშინდელი ხელისუფლება ომის დაწყების თარიღის ხელოვნური ცვლილებაში დაადანაშაულა:

"*ნაციონალური მოძრაობა* ომის დაწყების თარიღად 8 აგვისტოს ასახელებდა და მათი მხრიდან პროტოკოლური ღონისძიებებიც სწორედ ამ დღეს სრულდებოდა. რამდენიმე წლის წინ კი, რადიკალურმა ოპოზიციამ გადაწყვიტა თარიღი შეეცვალა და მან ომის დაწყების დღედ 7 აგვისტო გამოაცხადა".

აღსანიშნავია, რომ მმართველი გუნდის სხვა წევრებიც და მხარდამჭერებიც ომის დაწყების თარიღად 8 აგვისტოს მოიაზრებენ.

რეალურად, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ომის დაწყების თარიღად თავიდანვე 7 აგვისტოს ასახელებდა. ამის დადასტურება იყო 2009 წლის აგვისტოში ორგანიზებული ღონისძიება, რომელიც ომის დაწყების წლისთავს ეძღვნებოდა და 7 აგვისტოს გაიმართა.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 6 აგვისტოს, აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც დეტალურადაა აღწერილი ომის დაწყების მოვლენები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 7 აგვისტოს გამთენიისას, 03:41 საათზე, რუსული არმიის დაახლოებით 150 ერთეული ჯავშანტექნიკა და სატვირთო მანქანა როკის გვირაბის გავლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა. ამის საპასუხოდ, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა საარტილერიო ცეცხლი მხოლოდ იმავე დღეს, 23:50 საათზე გახსნეს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით. შესაბამისად, ქართული მხარის ოფიციალური პოზიცია ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებით ყოველთვის იყო 7 აგვისტო, რაც ემთხვევა რუსული სამხედრო ძალების როკის გვირაბის გადმოკვეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის დროის მონაცემებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ომის წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას 7 აგვისტოს ატარებდა.

უფრო მეტიც, ევროსაბჭოს რეზოლუციის მე-4 პუნქტში გარკვევით წერია, რომ ომის დაწყების თარიღი არის 2008 წლის 7 აგვისტო, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ "ის წარმოადგენდა დაძაბულობის მნიშვნელოვანი ესკალაციის შედეგს, რომელიც, თანდართული პროვოკაციებითა და შედეგად, უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესებით, დაიწყო გაცილებით უფრო ადრე".

ომის დაწყების თარიღად 8 აგვისტოს დასახელება რუსული პროპაგანდის ნაწილია, რადგან რუსეთი არ აღიარებს 7 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას, არამედ მათი თქმით "კონტრშეტევა" მხოლოდ 8 აგვისტოს საქართველოს ცხინვალის რეგიონში "შეჭრის" შემდეგ დაიწყეს.

„დასავლეთმა საქართველო 2008 წელს ჰუმანიტარული წყლის ანაბარა მიატოვა“

დეზინფორმაციულ გზავნილს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს "წყლით და პამპერსით" დაეხმარა, პრორუსული ჯგუფები და მმართველი პარტიის მხარდამჭერები წლებია, აჟღერებენ.

15 აგვისტოს გოგა ხაინდრავამ, კინორეჟისორმა და *ქართული ოცნების* მხარდამჭერმა მსგავსი ნარატივი ისევ გააჟღერა:

> "საზოგადოებამ უნდა გაიაზროს, რომ ამერიკა და ნატო ქართულ ჯარს იმისათვის წვრთნიდნენ, რომ საკუთარი უსაფრთხოებისა თუ მიზნებისათვის გამოეყენებინათ. ამიტომ იყო, რომ ჯერ სხვადასხვა მისიებში გამოიყენეს, შემდეგ, 2008 წელს, პროვოცირებულ ომში, ჰუმანიტარული წყლის ანაბარა მიატოვეს".

სინამდვილეში, სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები იყო ის სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დასახმარებლად პირველმა გადადგა ნაბიჯები.

9 აგვისტოს აშშ დაეხმარა საქართველოს, ერაყიდან 800-ზე მეტი ჯარისკაცი და 11 ტონა ტვირთი საქართველოში გადმოეყვანა. ასევე:

1. 13 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკა საქართველოს დასახმარებლად ჰუმანიტარულ მისიას იწყებდა, რისთვისაც ამერიკის საჰაერო და საზღვაო ძალებს გამოიყენებდა. აღნიშნული გეგმის მთავარი მიზანი იყო, რომ თბილისის აეროპორტი და საზღვაო პორტები დაეცვა რუსეთის შემდგომი თავდასხმისაგან.
2. ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში საქართველოში შემდეგი ხომალდები შემოვიდნენ: Arleigh Burke, რომელიც აღჭურვილია RIM-67 Standard ER (SM-1ER/SM-2ER) ტიპის რაკეტების გამშვები სისტემით და ჰარპუნის ტიპის რაკეტებით, ასევე, Mark 32 USS Mount Whitney (LCC/JCC 20) Blue Ridge და Hamilton კლასის სანაპირო დაცვის კატარღა USCGC Dallas (WHEC-716).
3. ამერიკის შეერთებული შტატები იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს მყისიერი ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადა რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის 750 მილიონიანი დახმარება მოჰყვა. უფრო მეტიც, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) კონფლიქტით დაზარალებულ 10,000-მდე

ადამიანისთვის საჭირო გადაუდებელი დახმარებისათვის 250,000 აშშ დოლარი გამოიყო.

4. 12 აგვისტოს გაეროს პირველი ჰუმანიტარული მისია განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც საქართველოში 34 ტონა ჰუმანიტარული დახმარება ჩამოვიდა. ასევე, 12 აგვისტოსვე ამოქმედდა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც თერთმეტმა ევროპულმა ქვეყანამ საკვებით, სამედიცინო დახმარებით, საბნებით და თავშესაფრის დახმარება გამოყვეს. უფრო მეტიც, დევნილთა დასახმარებლად ესპანეთმა 500 000 ევრო გამოყო, ხოლო ლატვიის მთავრობამ 20 000 ლატის ღირებულების სამედიცინო დახმარება გამოგზავნა.
5. 14 აგვისტოს ესტონეთმა 250 000 ევროს ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება და სამედიცინო პერსონალი გამოგზავნა, ასევე, ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტებიც გამოგზავნა, რომლებიც ელექტრონული კომუნიკაციების უსაფრთხოებაზე ეხმარებოდნენ ქართველ სპეციალისტებს.

ამრიგად, ნარატივი, რომელიც ამტკიცებს, რომ დასავლეთი საქართველოს მხოლოდ წყლით და პამპერსით დაეხმარა, მცდარია და რუსული დეზინფორმაციული კამპანიის შემადგენელი ნაწილია.

2.

ქართული ოცნების "უპრეცედენტო მშვიდობის" კვალდაკვალ

ქართული ოცნების განცხადებით, მმართველი გუნდის მთავარი მონაპოვარი ქვეყანაში "უპრეცედენტო მშვიდობაა" ფაქტები პოლიტიკური რიტორიკის მიღმა კი განსხვავებულ რეალობაზე მიანიშნებს.

არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დედაქალაქის ქუჩებში *ქართული ოცნების* ახალი ბილბორდები გამოჩნდა. ამჯერად ხელისუფლებამ კარგად ნაცნობი პროპაგანდისტული გზავნილების ვიზუალიზაცია გადაწყვიტა და უკრაინაში რუსული ბომბებით განადგურებული შენობებისა და ეკლესიის ფოტოები წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენა. მმართველი გუნდის პროპაგანდისტული ბილბორდების თანახმად, დღეს საქართველოს მოსახლეობას არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის აქვს, სადაც ომს ოპოზიცია წარმოადგენს, მშვიდობას კი – ქართული ოცნება.

"ეს იქნება არჩევნები მშვიდობასა და ომს შორის. მშვიდობის გარანტი, რა თქმა უნდა, არის *ქართული ოცნება*", – განაცხადა პარლამენტის ფრაქცია *ქართული ოცნების* თავმჯდომარის მოადგილემ, ირაკლი კირცხალიამ აგვისტოში.

პრემიერმინისტრმა ირაკლი კობახიძემ კი ბანერების გამოჩენის შემდეგ თქვა, რომ ომისა და მშვიდობის შედარება დღეს პრინციპული საკითხია.

"ეს არის პრინციპული იმისთვის, რომ საზოგადოებამ გააკეთოს სწორი არჩევანი, რაც არის გამოსახული ამ სურათებზე, ის, რაც თავიდან ავირიდეთ ძალიან დიდი ბრძოლის ფასად", – თქვა კობახიძემ 27 სექტემბერს ჟურნალისტებთან კომენტარში.

მშვიდობის თემა *ქართული ოცნებისთვის* განსაკუთრებით აქტუალური უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გახდა. 2022 წლის თებერვლიდან ხელისუფლებისა და მათთან დაკავშირებული ჯგუფების პოლიტიკურ გამოსვლებში მუდმივად ფიგურირებს სიტყვა "მშვიდობა". ლიდერები მმართველი გუნდიდან ამომრჩეველს ყოველთვის ახსენებენ, თუ როგორ წარმატებით შეძლო *ქართულმა ოცნებამ* ქვეყანაში უპრეცედენტო მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება.

"2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვების პირველივე დღიდან ჩვენს ქვეყანაში დამყარდა უპრეცედენტო 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არჩერთი მმართველის დროს არ მომხდარა, ჩვენ არ გვქონია ომი და არ დაგვიკარგავს დამატებით ტერიტორიები", – განაცხადა *ქართული ოცნების* თავმჯდომარემ, ირაკლი ღარიბაშვილმა გორში *ქართული ოცნების* საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.

ფაქტები "უპრეცედენტო მშვიდობის" რიტორიკის მიღმა

ქართული ოცნების მმართველობის 12-წლიანი "უპრეცედენტო მშვიდობის პერიოდში საოკუპაციო ძალებმა საქართველოს არაერთი მოქალაქე მოკლეს, ათასობით გაიტაცეს, მილიონობით კვადრატული მიწა უკანონოდ მიითვისეს. საცხოვრებელი კარ-მიდამო და სასაფლაოები მავთულხლართებით გაყვეს. არაერთ ადამიანს სახლი და საარსებო წყარო წაართვეს, ჯანდაცვასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა კი შეუზღუდეს.

მცოცავი ოკუპაცია, გატაცება, გადარჩენისთვის ბრძოლა – ეს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიურობაა. ამ ყველაფრის წინაშე ხელისუფლება უძლური, მოქალაქე კი სრულიად დაუცველია.

საოკუპაციო ძალების ერთ-ერთი ბოლო მსხვერპლი საქართველოში თამაზ გინტურია. საქართველოს მოქალაქე საოკუპაციო ძალებმა 2023 წლის ნოემბერში მოკლეს. 58 წლის თამაზ გინტურს ზურგში ორი ტყვია მას შემდეგ ესროლეს, რაც ლომისის ტაძარში სანთლები დაანთო. გაიტაცეს მისი თანმხლებიც, ლევან დოთიაშვილი.

რუსმა მესაზღვრეებმა ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია ოკუპირებულად 2018 წელს გამოაცხადეს, ხოლო მეჯვრისხევის ზერტისა და ბერშუეთის მცხოვრებლებს ეკლესიასთან, სადაც ისინი სალოცავად დადიოდნენ, მიახლოება აუკრძალეს. საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ეკლესიის კარი აჭედეს და სამშენებლო ქაფით დაგმანეს.

თამაზ გინტურის მკვლელობიდან რამდენიმე კვირაში რეჟიმს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე შეეწირა, ამჯერად ოკუპირებულ აფხაზეთში. 2023 წლის 9 დეკემბერს 43 წლის ვიტალი კარბაია გალის ბაზართან ე.წ "აფხაზური მილიციის" დაჯგუფების წევრებმა სასტიკად სცემეს. ვიტალი, რომელსაც ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული, მეორე დღეს სოხუმის საავადმყოფოში დაიღუპა.

2022 წელს გარდაიცვალა თბილისში ცხინვალის ციხიდან უგონო მდგომარეობაში გადმოყვანილი გენადი ბესტაევი. მას საოკუპაციო ხაზის გადაკვეთისთვის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 3-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. სინამდვილეში კი საოკუაციო რეჟიმის მავთულხლართები მის ეზოში გადიოდა,

მანამდე საოკუპაციო რეჟიმების მონაწილეობით კიდევ ოთხი ადამიანი დაიღუპა: დავით ბაშარაული 2014 წელს, გიგა ოთხოზორია 2016 წელს, არჩილ ტატუნაშვილი 2018 წელს და ირაკლი კვარაცხელია 2019 წელს.

ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ ბოლო 11 წლის განმავლობაში რუსეთის საოკუპაციო ძალებმა საქართველოს, მინიმუმ, 2 418 მოქალაქე უკანონოდ გაიტაცეს.

ოფიციალური მონაცემები იმის შესახებ, რამდენი კვადრატული მეტრი მიწა მიითვისეს საოკუპაციო ძალებმა მცოცავი ოკუპაციით, უცნობია. ამაზე ხელისუფლება საჯაროდ არ ლაპარაკობს. თუმცა, ანტისაოკუპაციო მოძრაობა "ძალა ერთობაშიას" ხელმძღვანელ დავით ქაცარავას არასრული მონაცემებით, 2012 წლიდან რუსმა ოკუპანტებმა შიდა ქართლში 60 მილიონ კვ.მ.-ზე მეტი მიწა დაიკავეს.

საოკუპაციო ხაზს მიღმა საქართველოს მოქალაქეებს ურთულეს პირობებში უწევთ ცხოვრება. მათთვის მედიკამენტები და მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისი ძირითადად ხელმისაწვდომი არ არის. ხშირად გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პაციენტის სწრაფი ტრანსპორტირება დედაქალაქში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, საოკუპაციო ხაზის გადაკვეთა კი არც ისე მარტივი პროცესია.

2023 წელს ახალგორიდან თბილისისკენ მიმავალ გზაზე წლინახევრის ბავშვი მას შემდეგ დაიღუპა, რაც ბავშვის საოკუპაციო ხაზს მიღმა გადმოყვანის ნებართვის მიღება დროში გაიწელა. მედიის ინფორმაციით, საჭირო ნებართვის გაცემა დაბადების მოწმობის არქონის გამო გაჭიანურდა, საბოლოოდ მშობლებმა ბავშვი მოსაბრუნის გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოიყვანეს. ის თბილისში ჩამოყვანამდე, მცხეთასთან ახლოს გარდაიცვალა.

საქართველოს ტერიტორიაზე საოკუპაციო რეჟიმის მიერ ჩადენილი ათასობით უკანონო ქმედება და დანაშაული თითქმის ყოველთვის უპასუხოდ რჩება. მიზეზი კი ხელისუფლების არჩეული არგაღიზიანების პოლიტიკა და რუსეთთან ფრთხილი მიდგომაა.

კრიტიკის საგანია "ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაც", რომელიც ოპოზიციური პარტიების დაჟინებული მოთხოვნით მას შემდეგ შეიქმნა, რაც არჩილ ტატუნაშვილს ცხინვალის ციხეში 100-ზე მეტი დაზიანება მიაყენეს და წამებით მოკლეს. ამ სიაში ის ადამიანები უნდა შესულიყვნენ, რომლებიც საქართველოს მოქალაქეების გატაცებაში, წამებასა და მკვლელობაში მონაწილეობენ. თუმცა, ხელისუფლება უპასუხოდ ტოვებს ოპოზიციის მოთხოვნას, სიაში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები შეიყვანოს. ამავე სიაში ვერ მოხვდნენ გინტურისა და კარბაიას სასტიკ მკვლელობებში ეჭვმიტანილი პირები.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად უკანონო დაკავების, გატაცების, სახლ-კარისა და საარსებო წყაროს დაკარგვის საფრთხის წინაშე არიან, ხელისუფლება მხოლოდ რუსეთთან ფრთხილ და არგაღიზიანების პოლიტიკას სთავაზობს. ადგილობრივების თქმით, დღევანდელი ვითარება, როდესაც საქართველოს მოქალაქე შეიძლება, ნებისმიერ დროს მოკლან და გაიტაცონ, ხოლო საოკუპაციო ხაზი ნებისმიერ დღეს გადმოწიონ, არ შეიძლება მშვიდობად ჩაითვალოს. ბევრისთვის ის, რასაც *ქართული ოცნება* დღეს მშვიდობას ეძახის, არა მშვიდობა და სტაბილურობა, არამედ ოკუპანტების აგრესიულ პოლიტიკასთან სრული შემგუებლობაა.

3.

დეზინფორმაცია: აგვისტოს ომის დროს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყნიდან გარბოდნენ

ბოლო რამდენიმე წელია, ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაკავშირებული პირები ხშირად ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს 2008 წლის ომის დროს მაშინდელი მაღალი თანამდებობის პირები და პარლამენტის დეპუტატები ქვეყნიდან გაიქცნენ.

2020 წლის 20 ივლისს, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის დროს, იმჟამინდელმა პარტიის თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა, სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა:

> *"ნაციონალურმა მოძრაობამ არათუ დაიცვეს განსაცდელისგან, არამედ ბედის ანაბარა მიატოვეს ხალხი... მახსოვს, როგორ გარბოდნენ ბრძოლის ველიდან და ქვეყნიდანაც... ეს ხალხი ხავსს ეჭიდება, მათთვის მთავარია ძალაუფლების ხელში ჩაგდება და რევანში",*

იგივე ნარატივი გაიმეორა იმჟამინდელმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ:

> *"კრიზისთან გამკლავებაზე როდესაც ვსაუბრობთ, თავი ისე ნუ მოგაქვთ, თითქოს, ჩვენზე უპირატესი რეცეპტი გაქვთ, 2008 წლის აგვისტოში თქვენი პოლიტიკური ძალის ლიდერებიდან ზოგი რომელ საზღვარზე გარბოდა, ზოგი – რომელზე, რომ ქვეყანა დაეტოვებინათ".*

2024 წლის 15 ოქტომბერს, ქართული ოცნების აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ ზუგდიდში „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას იგივე ნარატივი გააჟღერა და განაცხადა:

> *"სადაც საბრძოლველი იყო, მათ ლიდერებს იქ არ უბრძოლიათ და წითელ ხიდზე ვერ ასწრებდა ვერავინ - თუ საბრძოლველი იქნა, ჩვენზე მაგრად ვერავინ იბრძოლებს"!*

ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ნარატივი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ვრცელდება უზუსტობებს შეიცავს. იმჟამინდელ

ხელისუფლებასთან აფილირებულმა ზოგიერთმა პირმა ომის დროს ნამდვილად გადაკვეთა საზღვარი, თუმცა აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებების მიმღებ არცერთ პირს არათუ ქვეყანა არ დაუტოვებია, არამედ ომის პერიოდში გადმოკვეთა საზღვარი და ქვეყანაში დაბრუნდა.

2014 წელს "ქართული ოცნების" დეპუტატმა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა 2008 წლის 7-14 აგვისტოს ხელისუფლების ყოფილი წევრების ქვეყნიდან გასვლა-შემოსვლის სია გამოაქვეყნა. სესიაშვილის განცხადებით, აღნიშნული სია აგვისტოს ომის შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა და დოკუმენტი პარლამენტის არქივში ინახება.

ირაკლი სესიაშვილის მიერ გამოქვეყნებული სიის თანახმად, 9 აგვისტოს ქვეყანაში დაბრუნდნენ: პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი გიგა ბოკერია, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი, საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი გიორგი მელაძე. 10 აგვისტოს საზღვარი გადმოკვეთეს და დაბრუნდნენ მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი ნინო კალანდაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი.

ნიკოლოზ რურუა აშშ-დან საქართველოში 10 აგვისტოს დაბრუნდა. რურუას მიერ 2008 წლის აგვისტოში საზღვრის კვეთის ინფორმაციას, მისმა ძმამ, გიორგი რურუამაც საკუთარ ფეისბუკზე გამოაქვეყნა. გიორგი რურუას თქმით, აღნიშნული ინფორმაცია მან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა. დოკუმენტში ჩანს, რომ წითელი ხიდის გავლით 10 აგვისტოს ნიკოლოზ რურუა ქვეყანაში დაბრუნდა.

ამრიგად, ამჟამინდელი მთავრობის წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ნარატივი, რომელიც ამტკიცებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირები საქართველოდან გაიქცნენ, არ შეესაბამება სრულ სიმართლეს. თუმცა, მართალია, რომ ზოგიერთმა მათგანმა საზღვარი გადაკვეთა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა მალევე დაბრუნდა, რაც ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება და ხაზს უსვამს, რომ ომის პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა ქვეყანა არ მიატოვეს.

ტერიტორიული მთლიანობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს **არაღიარების პოლიტიკა** უცვლელია და დასავლელი პარტნიორების სრული მხარდაჭერით ხორციელდება, მმართველი პარტიის ფოკუსი ტერიტორიულ მთლიანობაზე არ ასახავს ცხად სტრატეგიას და უფრო პოლიტიკურ ინსტრუმენტად წარმოჩინდება, ვიდრე პრაქტიკულ გეგმად. ტერიტორიული აღდგენის კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებული დეტალური განმარტებების არარსებობა ეჭვებს აჩენს, რომ შემოთავაზებული მოდელი შესაძლოა გულისხმობდეს რუსეთთან დათმობებს - დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონფედერაციის მიმართულებით, რაც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციურ ჩარჩოს.

პოლიტიკური ანალიზი

მოახლოებული არჩევნების პირობებში, *ქართული ოცნების* წინასაარჩევნო კამპანიამ უჩვეულოდ უცნაურ სახე მიიღო. ტრადიციულად მმართველი პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნო კამპანიების დროს ამომრჩეველს რეალისტურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სხვა ტიპის სარგებელს სთავაზობენ. *ქართული ოცნების* შემთხვევაში, მმართველმა პარტიამ მთელი ძალისხმევა ორი ძირითადი მესიჯის გავრცელებაში ჩადო. პირველი მესიჯით, *ქართული ოცნება* საზოგადოებას ფაქტობრივად რუსეთთან ომით ემუქრება. მმართველი პარტია აცხადებს, რომ არჩევნებში ნებისმიერ ოპოზიციური პარტიის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთთან ომი გარდაუვალია. ამავდროულად, მმართველი პარტია ქართულ საზოგადოებას საკონსტიტუციო უმრავლესობის დონის მხარდაჭერისთვის მიმართავს, რათა გადაჭრან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

სიტუაციას კიდევ უფრო მეტ აბსურდულობას მატებს ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების მოლოდინის მიუხედავად, მმართველი პარტია არ აკონკრეტებს, რა ტიპის საკონსტიტუციო ცვლილებების გატარებას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის მოგვარების შესაძლებლობის რაიმე ფორმით დაკავშირება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხთან არარეალისტური და დამაზიანებელია. 12-წლიანი მმართველობის პერიოდში მმართველ პარტიას არც კი უცდია ქართული საზოგადოებისთვის შეეთავაზებინა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ისეთი ფორმულა, სადაც მათ შორის გათვალისწინებული იქნებოდა რუსეთისა და სეპარატისტული რეჟიმების ფაქტორები. მეტიც, ოპოზიცია ხშირად მოუწოდებდა მმართველ პარტიას ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში კონკრეტული სტრატეგიის შემუშავებისკენ, რაზეც *ქართული ოცნება* პოლიტიკურ ოპონენტებს კონტრპროდუქტიულობასა და რადიკალიზმში ადანაშაულებდა.

ამავდროულად, არაღიარების პოლიტიკის კონცეფცია რომელიც გაიზიარეს საქართველოს დასავლურმა პარტნიორებმა, მეტწილად მუშაობდა არსებული ერთობლივი ძალისხმევის ხარჯზე, რაც მაქსიმალურად ამცირებდა ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების შანსებს. აღნიშნული პოლიტიკის ჩავარდნა ნიშნავდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის გლობალურ გამარჯვებას და გამოიწვევდა ოკუპირებული ტერიტორიების საერთაშორისო აღიარებების ჯაჭვურ პროცესს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *ქართულ ოცნებას* არ აქვს შემუშავებული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სტრატეგია და არც არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნების და გაძლიერების რესურსი გააჩნია. შესაბამისად, ჩნდება პრინციპულად მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რატომ გადაწყვიტა მმართველმა პარტიამ ამ საკითხზე მაინცდამაინც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ფოკუსირება? კონსტიტუციური უმრავლესობა გულისხმობს კონსტიტუციის პოტენციურ ცვლილებას, რაც თავისთავად შესაძლებელს ხდის ქვეყნის განსხვავებული ტერიტორიული, ადმინისტრაციული და ნორმატიული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. დამატებითი განმარტების გარეშე *ქართული ოცნების* მხრიდან გაჟღერებული მსგავსი ტიპის დაპირება უნდა ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ მმართველ პარტიას დაგეგმილი აქვს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის რადიკალური ცვლილება. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რუსეთი კვლავ სისტემატიურად აცხადებს, რომ არ აპირებს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებების გაწვევას, და ხაზგასმით აცხადებს, რომ ეს საკითხის ორმხრივი მოლაპარაკებების გზით, ანუ საქართველოს და სეპარატისტული რეგიონების (დამოუკიდებელი სახელმწიფოების სტატუსით) შორის თანაბარი მოლაპარაკებების პროცესით უნდა გადაწყდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ შექმნილი კონფედერაცია არის ერთადერთი რეალური ვარიანტი, ამიტომაც, მმართველი პარტია არ არის მზად წინაასარჩევნოდ ღიად ისაუბროს საკუთარ გეგმებზე.

მედია ანალიზი

1.

რა სჭირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას? – რუსეთის პოლიტიკური ნება თუ საკონსტიტუციო ცვლილებები

ქართული ოცნების ლიდერები ამომრჩევლებს არწმუნებენ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საკონსტიტუციო მოწყობის ახალი მოდელი სჭირდებათ. საქართველოს მთავრობის ოფიციალური სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კი სრულიად სხვა რეალობას ჰყვება. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთის პოლიტიკური ნების გამო ვერ ხერხდება. რუსეთიდან კი ოცნების ლიდერებს მუდმივად ახსენებენ, რომ კრემლი საკუთარი მიდგომის გადახედვას არ აპირებს.

ქართული ოცნების ერთ-ერთი მთავარი გზავნილი წინასაარჩევნოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ლიდერები მმართველი პარტიიდან ამომრჩევლებს ეუბნებიან, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება.

“დღევანდელ მოცემულობასა და მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებაში, ძალიან დიდი შანსია, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შევძლოთ. ამისთვის მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომ გადაწყობა მოხდეს”, - განაცხადა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ აგვისტოში.

მსგავსი განცხადება ჰქონდა ქართული ოცნების დამფუძნებელსა და საპატიო თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილსაც.

“26 ოქტომბერს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, ქართული ოცნების გუნდს გვაქვს მზაობა, რომ საჭირო მომენტში, ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება - კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი საქართველო!“, - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

რატომ ვერ მოხერხდა ამ დრომდე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

ამ შეკითხვაზე პასუხს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი - სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით სცემს.

მთავრობის ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კონფლიქტების გამწვავებაში საქართველოში, უშუალოდ მონაწილეობდა ოპერაციებში და მუდმივად ხელს უშლიდა კონფლიქტების გადაჭრას.

"2008 წლის აგვისტოს საქართველოსა და რუსეთს შორის ომმა ნათელი გახადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები ძირითადად საერთაშორისო ხასიათისაა", - ვკითხულობთ მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტში.

სტრატეგიაში ისიც არის ნახსენები, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია და ამ ორი რეგიონის ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკა ართულებს შერიგების პროცესს საქართველოს ხალხებს შორის და ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიან რეინტეგრაციას საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში.

მთავრობის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ვრცელი სტრატეგია გვეუბნება, რომ დღეს საქართველოს 20% რომ ოკუპირებულია, ამაში მთავარი დამნაშავე რუსეთია. დოკუმენტში ნათლად იკითხება, რომ მშვიდობიანი და ერთიანი საქართველოს არსებობა რუსეთის მეზობლად კრემლის ინტერესებში არ შედის.

რას ვისმენთ რუსეთისგან?

რუსეთისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რომ სრულიად მიუღებელია, ამას კრემლში პირდაპირ ამბობენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა სექტემბერში მკაფიოდ თქვა, რომ ერთადერთი, რისთვისაც დღეს კრემლი მზადაა, ეს არის ურთიერთობების ნორმალიზებაში დაეხმაროს საქართველოს, აფხაზეთსა და ცხინვალს, როგორც 3 დამოუკიდებელ ქვეყანას.

"ისინი [აფხაზეთი და ცხინვალი] საქართველოს მეზობლები არიან, იქ რაღაც სახის კონტაქტები მაინც გარდაუვალია. თუ ყველა მხარის ინტერესი იქნება ამ ურთიერთობების

ნორმალიზებისთვის, თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმების უზრუნველყოფა... ჩვენ მზად ვიქნებით დავეხმაროთ", - განაცხადა ლავროვმა.

ამ თემას რუსეთის სხვა ოფიციალური პირებიც გამოეხმაურნენ. რუსულმა მედიამ კი აქტიურად დაიწყო ქართული ოცნების ერთ-ერთ მთავარ წინასაარჩევნო დაპირებაზე სტატიების გამოქვეყნება.

ერთ-ერთი ბოლო მასალა რუსეთის სამთავრობო მედიის gazeta.ru-ს გვერდზე 24 სექტემბერს გამოქვეყნდა. "რუსეთში გამორიცხავენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას" - ამ სათაურით გამოქვეყნებული სტატია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, კონსტანტინ ზატულინის კომენტარებს ეფუძნებოდა.

"არჩევნების წინ მმართველმა პარტიამ ქართულმა ოცნებამ ახალი მიდგომის გამოცხადება გადაწყვიტა. კერძოდ, ბოდიშის მოხდა ოსებისთვის 2008 წელს სააკაშვილის აგრესიის გამო. ეს გაკეთდა არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ, ძირითადად, შიდა პოლიტიკური მიზეზების გამო. ამით ისინი ცდილობენ, ამომრჩევლის ყურადღება მიიპყრონ იმაზე, თუ რა ჩიხში შეიყვანა სააკაშვილმა ქვეყანა ამ აგრესიით", - განაცხადა რუსმა დეპუტატმა.

მისი მტკიცებით, თბილისს არ უნდა ჰქონდეს აფხაზებისა და ოსების ქართველებთან "გაერთიანებისთვის" მზადყოფნის იმედი.

"ამ მატარებელმა დიდი ხნის წინ ჩაიარა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოში დაბრუნება არ მოხდება", - თქვა ზატულინმა.

რას ამბობენ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში?

ქართული ოცნების გზავნილებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ აფხაზეთიდან მალევე უპასუხეს. აფხაზეთის ე.წ. "საგარეო უწყება" ამბობს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა მითიური ტერმინების შესახებ რეალობასთან შეუსაბამო სტერეოტიპებზე სპეკულირების ნაცვლად, ქართველმა პოლიტიკოსებმა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით უნდა დაიწყონ.

"რაც შეეხება მომავალში მეზობელ საქართველოს სახელმწიფოსთან რაიმე სახის ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას, ჩვენი პოზიცია უცვლელი რჩება.

საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთის რესპუბლიკა სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ხელი მოაწეროს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს ძალის გამოუყენებლობის შესახებ", - აღნიშნულია განცხადებაში.

რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ყოფილი დე-ფაქტო ლიდერი ედუარდ კოკოითი, რომელიც აგვისტოს ომის დროს თვითგამოცხადებული პრეზიდენტი იყო, კი ბიძინა ივანიშვილის ბოდიშის მოხდის ინიციატივას გამოეხმაურა.

გორში წინასაარჩევნო შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ “ოს დებთან და ძმებთან” ბოდიშია მოსახდელი.

"ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, მოღალატე ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები", - განაცხადა ივანიშვილმა.

კოკოითის თქმით, "საქართველომ უნდა აღიაროს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ხელი მოაწეროს მშვიდობისა და საბრძოლო მოქმედების განუახლებლობის შესახებ ყველა საჭირო შეთანხმებას", ასევე დააბრუნოს თრუსოსა და გუდოს ხეობები.

ცხინვალში მიიჩნევენ, რომ "საქართველოს ოკუპირებული აქვს ისტორიული ოსური მიწები".

კონსპირაციის თეორიები

Getty Images

მმართველი პარტია აქტიურად იყენებს **გლობალური ომის პარტიის** ნარატივს, რათა დასავლელი კრიტიკოსები, ოპოზიციური პარტიები და უცხოელი პარტნიორები, განსაკუთრებით ევროკავშირი და ნატო, კონსპირაციული სქემის ნაწილად გამოაცხადოს, რომელიც თითქოს საქართველოს დესტაბილიზაციასა და კონფლიქტის გამოწვევას ისახავს მიზნად. „გლობალური ომის პარტია“ არის კონსპირაციული თეორია, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ შეიმუშავა საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის და ხალხში გარე ჩარევისა და ომის შიშის დასათესად. ამ სტრატეგიის მიზანია ყურადღების გადატანა შიდა პრობლემებიდან თუ მმართველი პარტიის სისუსტეებიდან და ანტიდასავლური განწყობების გაღვივება.

პოლიტიკური ანალიზი

2 სექტემბერს, პრემიერმინისტრმა ირაკლი კობახიძემ, მთავრობის ადმინისტრაციაში ჟურნალისტებს განუცხადა:

„ჩვენ უნდა დავლაგდეთ ყველასთან, მათ შორის გლობალურ ომის პარტიასთან, მას შემდეგ, რაც შეიცვლება ინტერესები“.

აღსანიშნავია, ირაკლი კობახიძის თითქმის ერთი წლის წინანდელი განცხადება, რომელიც 2023 წლის მაისში გააჟღერა:

„გლობალური ომის პარტიასთან“ ბრძოლას, — მიუხედავად იმისა, რომ „სერიოზულ რისკებთან, მათ შორის პერსონალურ რისკებთან არის დაკავშირებული“, — „ალტერნატივა არ აქვს“.

ვის გულისხმობს მმართველი ხელისუფლება “გლობალური ომის პარტიაში” და რატომ გახდა საჭირო მათთან “ურთიერთობების დალაგება”?

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა, 2024 წლის 29 აპრილს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" მხარდასაჭერად გამართულ შეკრებაზე 6-ჯერ ახსენა „გლობალური ომის პარტია“. ივანიშვილი ამ ჯგუფს საქართველოს სუვერენიტეტისთვის მთავარ საფრთხედ მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ „გლობალური ომის პარტიას“ გადამწყვეტი გავლენა აქვს ევროკავშირსა და ნატოზე.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი “ომის პარტია” მმართველი გუნდის წევრებში ჯერ კიდევ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე გაჩნდა, მაშინ როცა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა:

“ჩვენ ვაკეთებთ პოლიტიკას, რომელსაც შეიძლება, მშვიდობის პოლიტიკა დავარქვათ, „ნაცმოძრაობას“ თავისუფლად შეგვიძლია, დავარქვათ ომის პარტია”.

რაც შეეხება უშუალოდ ტერმინის „გლობალური ომის პარტია” პირველად 2022 წლის 8 ნოემბერს გაჟღერდა ამჟამინდელი პრემიერის ირაკლი კობახიძის მიერ:

"არის „გლობალური ომის პარტია“, რომლის წარმომადგენლებიც ოდიოზური ევროპარლამენტარები არიან - მათი ერთადერთი მიზანია, საქართველოში გამოიწვიონ ის, რაც უკრაინაში ხდება".

აღსანიშნავია, რომ კობახიძის აღნიშნული განცხადების შემდეგ, იგივე ნარატივის გავრცელება დაიწყეს როგორც "ქართულ ოცნების" დეპუტატებმა, ასევე, მმართველ პარტიასთან აფილირებულმა "ხალხის ძალის" წარმომადგენლებმა რომლებიც ანტიდასავლური გზავნილებით გამოირჩევიან.

საინტერესოა ისიც, რომ "გლობალური ომის პარტიაში" არა მხოლოდ ევროპარლამენტარების, არამედ უშუალოდ კოლექტიური დასავლეთის წარმომადგენლების მოაზრებაც დაიწყეს, მათ შორის იმჟამინდელი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის - კელი დეგნანის. პარტია „ხალხის ძალის" წევრმა ეკა სეფაშვილმა მედიასთან განაცხადა:

"ვფიქრობ, რომ [კელი დეგნანი] აგენტია იქიდან გამომდინარე, რომ გლობალური ომის პარტიის დაკვეთებს ასრულებს".

ფაქტია, რომ მმართველი პარტია და მისი სატელიტები, ყველაფერს, იქნება ეს კრიტიკა დასავლელი პარტნიორების მიერ თუ ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების გარკვეული ნაბიჯები - "გლობალური ომის პარტიის" დაკვეთას მიაწერენ. ამის ყველაზე კარგი მაგალითია, 2022 წელს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ვერმიღება რაშიც ირაკლი კობახიძემ გლობალური ომის პარტია დაადანაშაულა:

„არ დავასახელებ, ვერ დავასახელებ, იმიტომ, რომ უხერხულობა არ მინდა შევქმნა. […] ჩვენ ამაში ვერ დავადანაშაულებთ ევროკავშირს, იმიტომ, რომ ევროკავშირს აქვს მყიფე გადაწყვეტილების მიღების წესი. 27-დან 1 ქვეყანაც რომ გამოსწიო, უკვე არ გენიჭება კანდიდატის სტატუსი. ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ ევროკავშირს, მაგრამ შეგვიძლია დავადანაშაულოთ გლობალური ომის პარტია იმაში, რომ მან განახორციელა ზემოქმედება ევროკავშირზე", – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია ერიდება ღიად დასახელებას თუ ვინ დგას "გლობალური ომის პარტიის" უკან, ფაქტია, რომ ისინი ამ ყველაფრის უკან კოლექტიურ დასავლეთს მოიაზრებენ. მსგავსი ტერმინი ფართოდაა გავრცელებული რუსეთშიც, სადაც რუსი პოლიტიკოსები და პროპაგანდისტები აქტიურად იყენებენ „კოლექტიური დასავლეთის" ცნებას, რომელიც აღნიშნავს ყველა ტიპის „საფრთხეს", რაც დასავლეთიდან შეიძლება მომდინარეობდეს. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც საქართველოში, ქართული ოცნების მიერ გავრცელებული ბუნდოვანი ფრაზა, ასევე „კოლექტიური დასავლეთიც" არ არის მკაფიოდ განსაზღვრული რაც შეუძლებელს ხდის იმის თქმას, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინების უკან.

ის, რომ ტერმინი "გლობალური ომის პარტია" ოცნების მიერ მოგონილი ბუნდოვანი კონსპირაციული თეორიაა და მჭიდროდ გადაჯაჭვულია რუსულ საინფორმაციო ოპერაციასთან, ამას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებიც კარგად აცნობიერებენ:

„ხუმრობა არ არის, ვინაიდან, სერიოზული რამეა და კრემლის ნარატივია. კრემლის ნარატივია და აქ ამაზე დებატებიც კი ისეთი რამეა, რისი გაკეთებაც არ გვსურს, ვინაიდან, ეს ყალბი ნარატივია, ყალბი და მცდარი მიმართულებაა. — ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, მარგუს ცაჰკნა. იმავე აზრზეა ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი გაბრიელიუს ლანდსბერგი, რომელმაც საქართველოში ვიზიტის დროს განაცხადა:

„ომის ერთადერთი პარტია მოსკოვშია. ეს არის პარტია, რომელიც თავს დაესხა საქართველოს 2008 წელს. ეს არის პარტია, რომელიც თავს დაესხა უკრაინას 2014 წელს და ამჟამად აწარმოებს ომს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ჩვენი, - მათი, ვინც თავისუფლებას აფასებს, - ვალია, რომ ვებრძოლოთ ამ პარტიას და მოვიგოთ ეს ომი"

მმართველი პარტიის ლიდერების განცხადებებს ბრიუსელზე „გლობალური ომის პარტიის" გავლენების შესახებ, გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩი საქართველოში, პაველ ჰერჩინსკი.

> *„ევროკავშირი არის გლობალური მშვიდობის პარტია. ჩვენ ვიცით, სად არის გლობალურ ომის პარტია - ის არის მოსკოვში. რუსეთია, ვინც საქართველოში შეიჭრა 2008 წელს; რუსეთია, ვინც შეიჭრა აღმოსავლეთ უკრაინაში და მოახდინა ყირიმის ანექსია 2014 წელს და რუსეთია, ვინც განახორციელა სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში 2022 წელს; რუსეთია, ვინც იყენებს ჰიბრიდულ ინსტრუმენტებს, რომ არიოს ვითარება და შექმნას ქაოსი ყველგან - აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში".*

ამრიგად, სინამდვილეში, "გლობალური ომის პარტია" მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი შეთქმულების თეორიაა, ერთგვარი ხერხი, რომელსაც ხშირად იყენებენ ავტორიტარული რეჟიმები საკუთარი მმართველობის გასამყარებლად. ქართული ოცნება, გამოგონილი "გლობალური ომის პარტიით" ცდილობს საზოგადოება დააშინოს, იმით, რომ ვითომდა "კოლექტიური დასავლეთი" საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს. მმართველი პარტიისთვის აღნიშნული კონსპირაციის თეორია არის ერთგვარი მიდგომა, იმისთვის, რომ ერთი მხრივ, საზოგადოების ყურადღება რეალური პრობლემებიდან გამოგონილ საფრთხეებზე გადაიტანოს, ხოლო მეორე მხრივ — კიდევ უფრო დაშორდეს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებს და ქვეყანა მაქსიმალურად დააბრუნონ რუსულ ორბიტაზე.

მედია ანალიზი

გლობალური ომის პარტია

2 სექტემბერს, პრემიერმინისტრმა ირაკლი კობახიძემ, მთავრობის ადმინისტრაციაში ჟურნალისტებს განუცხადა:

„ჩვენ უნდა დავლაგდეთ ყველასთან, მათ შორის გლობალურ ომის პარტიასთან, მას შემდეგ, რაც შეიცვლება ინტერესები“.

აღსანიშნავია, ირაკლი კობახიძის თითქმის ერთი წლის წინანდელი განცხადება, რომელიც 2023 წლის მაისში გააჟღერა:

„გლობალური ომის პარტიასთან“ ბრძოლას, — მიუხედავად იმისა, რომ „სერიოზულ რისკებთან, მათ შორის პერსონალურ რისკებთან არის დაკავშირებული“, —„ალტერნატივა არ აქვს“.

ვის გულისხმობს მმართველი ხელისუფლება “გლობალური ომის პარტიაში” და რატომ გახდა საჭირო მათთან “ურთიერთობების დალაგება”?

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა, 2024 წლის 29 აპრილს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" მხარდასაჭერად გამართულ შეკრებაზე 6-ჯერ ახსენა „გლობალური ომის პარტია“. ივანიშვილი ამ ჯგუფს საქართველოს სუვერენიტეტისთვის მთავარ საფრთხედ მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ „გლობალური ომის პარტიას“ გადამწყვეტი გავლენა აქვს ევროკავშირსა და ნატოზე.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი “ომის პარტია” მმართველი გუნდის წევრებში ჯერ კიდევ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე გაჩნდა, მაშინ როცა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა:

“ჩვენ ვაკეთებთ პოლიტიკას, რომელსაც შეიძლება, მშვიდობის პოლიტიკა დავარქვათ, „ნაცმოძრაობას“ თავისუფლად შეგვიძლია, დავარქვათ ომის პარტია”.

რაც შეეხება უშუალოდ ტერმინის „გლობალური ომის პარტია” პირველად 2022 წლის 8 ნოემბერს გაჟღერდა ამჟამინდელი პრემიერის ირაკლი კობახიძის მიერ:

"არის „გლობალური ომის პარტია“, რომლის წარმომადგენლებიც ოდიოზური ევროპარლამენტარები არიან - მათი ერთადერთი მიზანია, საქართველოში გამოიწვიონ ის, რაც უკრაინაში ხდება".

აღსანიშნავია, რომ კობახიძის აღნიშნული განცხადების შემდეგ, იგივე ნარატივის გავრცელება დაიწყეს როგორც "ქართულ ოცნების" დეპუტატებმა, ასევე, მმართველ პარტიასთან აფილირებულმა "ხალხის ძალის" წარმომადგენლებმა რომლებიც ანტიდასავლური გზავნილებით გამოირჩევიან.

საინტერესოა ისიც, რომ "გლობალური ომის პარტიაში" არა მხოლოდ ევროპარლამენტარების, არამედ უშუალოდ კოლექტიური დასავლეთის წარმომადგენლების მოაზრებაც დაიწყეს, მათ შორის იმჟამინდელი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის - კელი დეგნანის. პარტია „ხალხის ძალის“ წევრმა ეკა სეფაშვილმა მედიასთან განაცხადა:

"ვფიქრობ, რომ [კელი დეგნანი] აგენტია იქიდან გამომდინარე, რომ გლობალური ომის პარტიის დაკვეთებს ასრულებს".

ფაქტია, რომ მმართველი პარტია და მისი სატელიტები, ყველაფერს, იქნება ეს კრიტიკა დასავლელი პარტნიორების მიერ თუ ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების გარკვეული ნაბიჯები - "გლობალური ომის პარტიის" დაკვეთას მიაწერენ. ამის ყველაზე კარგი მაგალითია, 2022 წელს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ვერმიღება რაშიც ირაკლი კობახიძემ გლობალური ომის პარტია დაადანაშაულა:

„არ დავასახელებ, ვერ დავასახელებ, იმიტომ, რომ უხერხულობა არ მინდა შევქმნა. […] ჩვენ ამაში ვერ დავადანაშაულებთ ევროკავშირს, იმიტომ, რომ ევროკავშირს აქვს მყიფე გადაწყვეტილების მიღების წესი. 27-დან 1 ქვეყანაც რომ გამოსწიო, უკვე არ გენიჭება კანდიდატის სტატუსი. ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ ევროკავშირს, მაგრამ შეგვიძლია დავადანაშაულოთ გლობალური ომის პარტია იმაში, რომ მან განახორციელა ზემოქმედება ევროკავშირზე“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია ერიდება ღიად დასახელებას თუ ვინ დგას "გლობალური ომის პარტიის" უკან, ფაქტია, რომ ისინი ამ ყველაფრის უკან კოლექტიურ დასავლეთს მოიაზრებენ. მსგავსი ტერმინი ფართოდაა გავრცელებული რუსეთშიც, სადაც რუსი პოლიტიკოსები და პროპაგანდისტები აქტიურად იყენებენ „კოლექტიური დასავლეთის“ ცნებას, რომელიც აღნიშნავს ყველა ტიპის „საფრთხეს“, რაც დასავლეთიდან

შეიძლება მომდინარეობდეს. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც საქართველოში, ქართული ოცნების მიერ გავრცელებული ბუნდოვანი ფრაზა, ასევე „კოლექტიური დასავლეთიც" არ არის მკაფიოდ განსაზღვრული რაც შეუძლებელს ხდის იმის თქმას, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინების უკან.

ის, რომ ტერმინი "გლობალური ომის პარტია" ოცნების მიერ მოგონილი ბუნდოვანი კონსპირაციული თეორიაა და მჭიდროდ გადაჯაჭვულია რუსულ საინფორმაციო ოპერაციასთან, ამას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებიც კარგად აცნობიერებენ:

„ხუმრობა არ არის, ვინაიდან, სერიოზული რამეა და კრემლის ნარატივია. კრემლის ნარატივია და აქ ამაზე დებატებიც კი ისეთი რამეა, რისი გაკეთებაც არ გვსურს, ვინაიდან, ეს ყალბი ნარატივია, ყალბი და მცდარი მიმართულებაა. — ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, მარგუს ცაჰკნა

იმავე აზრზეა ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი გაბრიელიუს ლანდსბერგი, რომელმაც საქართველოში ვიზიტის დროს განაცხადა:

„ომის ერთადერთი პარტია მოსკოვშია. ეს არის პარტია, რომელიც თავს დაესხა საქართველოს 2008 წელს. ეს არის პარტია, რომელიც თავს დაესხა უკრაინას 2014 წელს და ამჟამად აწარმოებს ომს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ჩვენი, - მათი, ვინც თავისუფლებას აფასებს, - ვალია, რომ ვებრძოლოთ ამ პარტიას და მოვიგოთ ეს ომი"

მმართველი პარტიის ლიდერების განცხადებებს ბრიუსელზე „გლობალური ომის პარტიის" გავლენების შესახებ, გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩი საქართველოში, პაველ ჰერჩინსკი.

„ევროკავშირი არის გლობალური მშვიდობის პარტია. ჩვენ ვიცით, სად არის გლობალური ომის პარტია - ის არის მოსკოვში. რუსეთია, ვინც საქართველოში შეიჭრა 2008 წელს; რუსეთია, ვინც შეიჭრა აღმოსავლეთ უკრაინაში და მოახდინა ყირიმის ანექსია 2014 წელს და რუსეთია, ვინც განახორციელა სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში 2022 წელს; რუსეთია, ვინც იყენებს ჰიბრიდულ ინსტრუმენტებს, რომ არიოს ვითარება და შექმნას ქაოსი ყველგან - აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში".

ამრიგად, სინამდვილეში, "გლობალური ომის პარტია" მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი შეთქმულების თეორიაა, ერთგვარი ხერხი, რომელსაც ხშირად იყენებენ ავტორიტარული რეჟიმები საკუთარი მმართველობის გასამყარებლად. ქართული ოცნება, გამოგონილი "გლობალური ომის პარტიით" ცდილობს საზოგადოება დააშინოს, იმით, რომ

ვითომდა “კოლექტიური დასავლეთი” საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს. მმართველი პარტიისთვის აღნიშნული კონსპირაციის თეორია არის ერთგვარი მიდგომა, იმისთვის, რომ ერთი მხრივ, საზოგადოების ყურადღება რეალური პრობლემებიდან გამოგონილ საფრთხეებზე გადაიტანოს, ხოლო მეორე მხრივ — კიდევ უფრო დაშორდეს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებს და ქვეყანა მაქსიმალურად დააბრუნონ რუსულ ორბიტაზე.

იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების ინსტრუმენტალიზაცია

Tbilisi Pride Photo

მმართველი პარტიის ნარატივი **LGBT "პროპაგანდის"** გარშემო ფართო სტრატეგიის ნაწილია, რომელიც კულტურული შიშების გაღვივებასა და ძალაუფლების კონსოლიდაციას ისახავს მიზნად. LGBT უფლებების, როგორც ქართული ტრადიციებისა და მცირეწლოვანებისთვის საფრთხის წარმოჩენით, ისინი ცდილობენ, კონსერვატიული ამომრჩევლების მობილიზებას არჩევნების წინ და ამავდროულად, ყურადღების გადატანას სოციალური და მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემებიდან. ანტი-ლგბტ კანონი ფართო ანტიდასავლური დისკურსის ნაწილსაც წარმოადგენს, სადაც დასავლური ლიბერალიზმი ეროვნული იდენტობისა და რელიგიური ღირებულებების მიმართ დამღუპველ ძალად არის აღქმული. ამ შემთხვევაში, LGBT უფლებები გამოიყენება საზოგადოების პოლარიზაციისთვის და უფრო ღრმა საზოგადოებრივი და მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემებიდან ყურადღების გადატანისთვის.

პოლიტიკური ანალიზი

2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მიღებული ანტი-ლგბტ კანონი უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, ანტი-დასავლური ინფორმაციული კამპანიისა და, მეორე მხრივ, იდენტობის პოლიტიკისა და შიშის პოლიტიკის ინსტრუმენტალიზების პერსპექტივებიდან. ეს ნარატივები და ანტი-ლგბტ კანონის წინასაარჩევნო პერიოდში მიღება ახალი არ არის არალიბერალური და ანტიდემოკრატიული რეჟიმებისთვის. ასეთი ძალები კულტურული და იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გამოყენებით, გლობალური მასშტაბით ცდილობენ საზოგადოებაში შიშის დანერგვასა და გამძაფრებას, როგორც საკუთარი ძალაუფლების გამყარების იარაღს.

რუსეთის, უნგრეთისა და პოლონეთის მაგალითებზე დაყრდნობით, შეიძლება, ითქვას, რომ მსგავს პოლიტიკას მმართველი ძალები წინასაარჩევნო პერიოდში რამდენიმე მიზნით იყენებენ: მწვავე სოციო-ეკონომიკური საკითხებიდან ყურადღების გადატანა; ულტრაკონსერვატიული ელექტორატის მიზიდვა; საკუთარი პარტიის, როგორც ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების მცველის, წარმოჩენა; საზოგადოებაში შიშისა და კრიტიკული მდგომარეობის შეგრძნების გამწვავება; საზოგადოებაში პოლარიზაციის გაღრმავება და მისი "ჩვენიანებად" და "სხვებად" დაყოფა. სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში ამ საკითხზე აპელირება უნდა აღვიქვათ, როგორც წინასაარჩევნოდ გათვლილი კამპანია, რომელიც ელექტორატის გრძნობებისა და ემოციების ინსტრუმენტალიზებით, მათზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.

ეს ნარატივები საქართველოს შემთხვევაში, ერთი მხრივ, ეხმიანება ფესვებგადგმულ კულტურულ შფოთვას ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ კი, მიზანმიმართულად ხატავს გარე, თუ შიდა მტრის ხატს. საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩართვასთან ერთად საქართველოში გავრცელებული ანტი-დასავლური ნარატივები სწორედ იდენტობის საკითხებთან გადაჯაჭვულად გავრცელდა. ამ ნარატივებისა და პროპაგანდის მრავალწლიანი არსებობა დასავლური ორგანიზაციული სტრუქტურების შესახებ მწირ ინფორმაციასთან ერთად, ქმნის მოწყვლად ნიადაგს წინასაარჩევნოდ მიღებული კანონისა და თანმხლები პოლიტიკური დისკურსების ინსტრუმენტალიზაციისთვის. ამ კონტექსტს თან ახლავს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტის, მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციონირება, რომელიც

ანტი-ლგბტ და ანტი-დასავლური ნარატივების შექმნასა და გავრცელებაში აქტიურ როლს ითავსებს.

ანტი-დასავლური სენტიმენტები ქართული პოლიტიკური დისკურსის ნაწილია, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ქვეყანა ჩართულია ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის პროცესებში. ამ დისკურსში დასავლური ღირებულებები წარმოჩენილია როგორც ქართული ტრადიციების, რელიგიური და ეროვნული იდენტობის საფრთხე. აღნიშნული საფრთხე დიდწილად კულტურულ ჰომოგენიზაციასა და ეროვნული ღირებულებების გაუფასურებას უკავშირდება. ანტი-ლგბტ კანონი და მისი თანხმლები დისკუსიები კი სწორედ ამ ნარატიული ჩარჩოს ნაწილია და ამრიგად, მმართველი გუნდის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, თავი წარმოაჩინონ, როგორც ქართული იდენტობის მცველები დასავლური "ლიბერალური გავლენისა" და "არატრადიციული" ცხოვრების წესის წინააღმდეგ.

მსგავსი პოლიტიკის ინსტრუმენტალიზების კარგი მაგალითია უნგრეთი, სადაც პრემიერმინისტრის ინიციატივით, 2021 წელს მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავს ლგბტ თემთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენას სკოლებსა და მედიაში. ამ კანონის მიღებასაც წინ უძღოდა უნგრული და დასავლური ღირებულებების ნარატიული შეპირისპირება, რომლის ფარგლებშიც უნგრეთი ქრისტიანული ღირებულებების მცველად, ხოლო დასავლეთი ამორალურ სივრცედ იყო წარმოჩენილი. ამრიგად, უნგრეთის მთავრობამ მოახერხა არსებული კულტურული შიშების გაღვივება და მათი ელექტორალურ მხარდაჭერაში გადათარგმნა, ამავე დროს კი შეზღუდა ადამიანის უფლებები საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისთვის. ქართული შემთხვევაც ამავე პრიზმიდან შეგვიძლია, წავიკითხოთ, როდესაც მმართველი პარტია ცდილობს გვერდი აუაროს კორუფციასთან, სოციალურ საკითხებთან და დემოკრატიულ უკუსვლასთან დაკავშირებულ თემებს და მათ ნაცვლად – ოჯახური ღირებულებების დაცვის სახელით – ძალაუფლების შენარჩუნებას იდენტობასთან დაკავშირებული შიშების გამოყენებით შეეცადოს. უნგრეთამდე მსგავსი ტაქტიკა აპრობირებული იყო და დღემდე გამოიყენება რუსეთში, რომელიც დასავლური კულტურული გავლენის წინააღმდეგ "ბრძოლას" კონსტიტუციურ დონეზე აცხადებს.

ამრიგად, ანტი-ლგბტ კანონის მიღება რუთ ვოდაკის მიერ შემოთავაზებული ცნების, "შიშის პოლიტიკის" ნაწილია. ამ სტრატეგიის გამოყენებით ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი მთავრობები ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას, შიდა და

გარე მტრის ხატისა, თუ კრიზისების შექმნას საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისა და გამყარებისთვის. ქართულ კონტექსტში ლგბტ თემის წარმომადგენლები ხშირად არიან წარმოდგენილები სწორედ ამ "ხელსაყრელნ მტრებად", რომელთა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა "გამართლებულია" მთავრობის მიერ ეროვნული ღირებულებების დაცვის მოჩვენებით პოლიტიკაში.

შესაბამისად, აღნიშნული კანონი უნდა განიხილებოდეს, როგორც უფრო ფართო ავტორიტარული "გზამკვლევის" ნაწილი, რომელსაც მმართველი ძალა ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის იყენებს. კანონის მიღების პერიოდი, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ხაზს უსვამს მის პოლიტიკურ მიზანს: კონსერვატიული ამომრჩევლების მოზიდვა, ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისგან ყურადღების გადატანა და ანტი-დასავლური დისკურსის გაღრმავება კულტურული პროტექციონიზმის სახელით. რეგიონალურ შემთხვევებზე დაკვირვებით, ცხადია, რომ შიშებით მანიპულირება არ არის უნიკალური საქართველოსთვის, არამედ უფრო ფართო ავტორიტარული ტენდენციის ნაწილია. ამ შემთხვევაში უმცირესობათა უფლებების შეზღუდვა მხოლოდ ნაწილია იმ ფართო საფრთხისა, რომელიც დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და სამოქალაქო თავისუფლების დონეს ემუქრება.

მედია ანალიზი

1.

ანტი-ლგბტ სენტიმენტებისა და ოჯახური ღირებულებების წინასაარჩევნო ინსტრუმენტალიზაცია

არსებობს თუ არა ლგბტ-პროპაგანდა?

მმართველი პარტიის დამაარსებელმა და მთავარმა ფიგურამ, ბიძინა ივანიშვილმა 21 აგვისტოს განაცხადა, რომ ქართულ ოცნებას საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება, რათა კონსტიტუციის დონეზე აკრძალოს "ერთნაირსქესიანთა ეგრეთ წოდებული სამოქალაქო პარტნიორობა, ლგბტ-წყვილის მიერ შვილის აყვანა, სქესის შეცვლის ოპერაციების ჩატარება, მედიაში თუ სკოლებში ლგბტ-პროპაგანდის წარმოება და სხვა". იმავე ნარატივს იმეორებს პარტიის საბჭოს ერთი დღით ადრე გამოქვეყნებული განცხადება, "კონსტიტუციური კანონის მიღების შემდეგ, ვერავინ ვეღარასოდეს მოგვახვევს თავს ერთნაირსქესიანთა ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის, ერთნაირსქესიანთა წყვილის მიერ ბავშვის აყვანის, ან სქესის შეცვლის ოპერაციის დაკანონებას, ქალისა და მამაკაცის გარდა სხვა ე.წ. სქესის სამართლებრივად დადგენას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდას და სხვა მანკიერებებს, რომლებმაც მრავალი ქვეყანა უკვე ძალზე მძიმე შედეგებამდე მიიყვანა." პრემიერმინისტრმა ირაკლი კობახიძემ 9 სექტემბერს ანტი-ლგბტ პროპაგანდის კანონის მიღების მთავარ მიზნად არასრულწლოვნების დაცვა დაასახელა, "აქ არ არის საუბარი ადამიანის უფლებების შეზღუდვაზე და ერთადერთი, რაც იზღუდება, ეს არის უხეში პროპაგანდის გამოყენება, რომელსაც აქვს ძალიან უცნაური მიზნები".

პროპაგანდა ინფორმაციის, ფაქტების, არგუმენტების, ნახევრად-სიმართლის ან ტყუილის გავრცელებაა, რომელიც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები არ განმარტავენ, თუ რა იგულისხმება ლგბტ პროპაგანდაში, თუმცა, რთული გამოსაცნობი არაა, რომ ისინი ლგბტ თემის უფლებების

ადვოკატირებას, თემის გამოხატვის თავისუფლების დაცვას (რომლის ერთ-ერთ გამოვლინებად, მათ შორის, შეიძლება ჩაითვალოს პრაიდის ფესტივალის ჩატარება) და მათდამი მიმღეობის ზრდას, საკუთარ იდენტობასა და ორიენტაციაზე ღიად საუბარს გულისხმობენ. ის, რაც ლგბტ თემის ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების ნაწილია, მმართველი პარტიის აზრით პროპაგანდაა. თუმცა, აღნიშნული ტიპის პროპაგანდაზე საუბრისას ისინი არ აკონკრეტებენ, თუ რა ფორმებით ხდება ამ იდეოლოგიის ვინმეზე თავს მოხვევა, რადგან მსგავსი ქმედებების კონკრეტულად დასახელება თავად ქართული ოცნების მიერ მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონს შეეწინააღმდეგება.

ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქვიარ თემის წარმომადგენლები, აქტივისტები ან ლგბტ თემის დამცველი ორგანიზაციები ვინმეს, განსაკუთრებით არასრულწლოვნებს სქესის ან სექსუალური ორიენტაციის შეცვლისკენ მოუწოდებდნენ. თავად ტერმინი ლგბტ პროპაგანდა სათავეს რუსეთიდან იღებს და მსგავსი ტერმინის ოფიციალური განმარტება დასავლურ წყაროებში ნაკლებად რელევანტურია. ლგბტ-პროპაგანდის ამკრძალავი კანონი რუსეთში 2013 წელს მიიღეს და იგი ცენზურას, მოწყვლადი ჯგუფების მარგინალიზებას, ოჯახური სენტიმენტებით მანიპულირებასა და ავტორიტარული რეჟიმის გაძლიერებას ემსახურება.

შესაძლებელია ინდივიდის ორიენტაციის/იდენტობის პროპაგანდის დახმარებით შეცვლა?

21 აგვისტოს ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ “ანტიქრისტიანული ძალები ცდილობენ ერებს, სახელმწიფოებს და ადამიანებს ყოველგვარი იდენტობა წაუშალონ. მათი მიზანია, ადამიანი იქცეს ღირსებისა და მორალისგან დაცლილ არსებად, რომელსაც არ ექნება არავითარი ეროვნული, რელიგიური, თუ პიროვნული იდენტობა; ადამიანმა დანამდვილებით ისიც კი არ უნდა იცოდეს, კაცია თუ ქალი”. მსგავსი შინაარსის განცხადება გააჟღერა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა 25 აგვისტოს, “ვზრდით ჩვენს ვაჟებს კაცებად და ქალიშვილებს ქალებად, თუ ისე ვაბნევთ, რომ საკუთარ სქესშიც კი ვეღარ გაერკვნენ”? და პრემიერმა ირაკლი კობახიძემ 18 სექტემბერს, “ახლა მივიღეთ მეორე კანონი, რომელიც აწესრიგებს უმარტივეს რამეს, რომ კაცი უნდა იყოს კაცი და ქალი უნდა იყოს ქალი, კაცს უნდა ერქვას კაცი და ქალს უნდა ერქვას ქალი და ამასაც გვიცხადებენ რუსულ კანონად”.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ისინი არასრულწლოვანებს დაიცავენ ლგბტ პროპაგანდისგან, რომელიც მათ სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შეცვლისკენ უბიძგებს. აღნიშნული მტკიცება დაფუძნებულია დეზინფორმაციაზე, რომ ადამიანის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ცვლილება რაიმე იდეოლოგიის ან გარეგანი ზეწოლის საფუძველზე ხდება.

სამეცნიერო კვლევები და სამედიცინო ორგანიზაციები, მაგალითად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) და ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია (APA) ამტკიცებენ, რომ სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა კომპლექსურად, ბიოლოგიური, გენეტიკური, გარემო ფაქტორების კომბინაციით ყალიბდება და იგი რაიმე ტიპის ინფორმაციის მიღების საფუძველზე არ იცვლება. ე.წ. კონვერტაციის თერაპია, რომელიც ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შეცვლას ისახავს მიზნად, ამერიკულ ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიერ არაეფექტურად და საზიანოდ შეფასდა, რადგან აღნიშნული თერაპია ადამიანში ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს და ვერც ორიენტაციის ცვლილებას ახერხებს.

რაც შეეხება ლგბტ თემის რეპრეზენტატულობის ზრდას, ეს მოვლენა ქვიარ თემის მიმართ მიმღებლობასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს და არა ორიენტაციის მიზანმიმართულად გარდაქმნას.

შეუძლია ლგბტ პროპაგანდას "ერის გადაშენება"?

ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ 3 სექტემბერს განაცხადა, რომ "საუკუნეების განმავლობაში ყველა დამპყრობელი ამ ქვეყანაში ცდილობდა, ერი გადაეშენებინა და აგერ ვართ, ქართულად ვსაუბრობთ და არსებობს ეს ქვეყანაც და ქართველი ხალხიც, ზუსტად 2-3 თაობაში შეუძლია ლგბტ პროპაგანდას ამის წაშლა".

მამუკა მდინარაძე "ერის გადაშენებაში" შობადობის შემცირებას გულისხმობს, რასაც ლგბტ პროპაგანდას უკავშირებს. მდინარაძე ამტკიცებს, რომ ლგბტ პროპაგანდა ახალგაზრდებს სექსუალურ ორიენტაციას შეუცვლის და ისინი ვეღარ შეძლებენ გამრავლებას. ეს მტკიცებაც ასევე არასწორ აღქმებსა და სენტიმენტებით მანიპულირებაზეა დაფუძნებული.

განვითარებულ ქვეყნებში შობადობის შემცირება არა ლგბტ პროპაგანდითა და ქვიარ თემის ზრდით, არამედ ეკონომიკური ფაქტორებით, კონტრაცეპტივების არსებობითა და

უკანასკნელ საუკუნეში ქალთა ემანსიპაციითაა გამოწვეული. ვინაიდან შვილების ყოლა გარკვეულ ეკონომიკურ გამოწვევებთანაა დაკავშირებული და ამავე დროს განათლების მიღება და დასაქმება ქალებისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდა, შემცირდა შობადობის რიცხვიც.

ამასთან, შეუძლებელია რაიმე ტიპის პროპაგანდის საფუძველზე ადამიანის სექსუალური ორიენტაციის ცვლილება, რაც თავისთავად გავლენას ვერ იქონიებს შობადობის შემცირებაზე.

იწვევს პროპაგანდა ლგბტ თემის წარმომადგენელთა რიცხვის ზრდას?

მიზანმიმართულ მცდარ ინფორმაციაზეა დამყარებულია ირაკლი კობახიძის 4 სექტემბრის განცხადება, რომ "სტატისტიკა სხვა რამეზე მეტყველებს, რეალურად, [ლგბტ] პროპაგანდის გავრცელების შემდეგ და კვალდაკვალ 20%-ს გადააჭარბა ლგბტ პირების რაოდენობამ, შესაბამის ქვეყნებში".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გარეგანი ზეგავლენით ან იდეოლოგიის დახმარებით შეცვლა შეუძლებელია, შესაბამისად ვერანაირი ტიპის პროპაგანდა ქვიარ თემის ზრდაზე ვერ იმოქმედებს. ლგბტ თემის წარმომადგენლების რიცხვის ზრდა აღნიშნული თემისადმი მიმღებლობის გაძლიერებამ, ემანსიპაციამ და მათი უფლებებისთვის ადვოკატირებამ გამოიწვია. ვინაიდან დასავლურ სახელმწიფოებში ქვიარ თემის სტიგმატიზება და მარგინალიზება შედარებით ნაკლებად ხშირია, სოციალური წნეხის არარსებობის პირობებში განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებს ე.წ. "დაქამინგაუთება" შედარებით უმსუბუქდებათ.

დასავლეთი ლგბტ დღის წესრიგს თავს გვახვევს?

პრემიერმინისტრმა ირაკლი კობახიძემ 18 სექტემბერს განაცხადა, რომ "არ შეიძლება ქართული საზოგადოების აღქმაში ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ასოცირდებოდეს რაიმე ფორმით ლგბტ პროპაგანდასთან და ისეთ იდეოლოგიურ მიმდინარეობასთან, რომლის მიზანი არ არის საზოგადოებისთვის დადებითი… როდესაც ყოველგვარი არგუმენტის გარეშე გვესმის კრიტიკა, რა თქმა უნდა, ეს არის ჩვენი შეშფოთების საგანი. რატომ შეიძლება აკრიტიკებდეს ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის წარმომადგენელი იმ კანონპროექტს, რომელიც

მხოლოდ და მხოლოდ ოჯახური ფასეულობების და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას ეძღვნება". მმართველი პარტიის წარმომადგენლები პირდაპირ დასავლური ინსტიტუტების ლგბტ პროპაგანდის თავსმოხვევაში დადანაშაულებას ერიდებიან, თუმცა, ქართული ოცნებიდან ფორმალურად გამოყოფილი და კვლავ მმართველი გუნდის საარჩევნო სიაში მყოფი პოლიტიკური გუნდის, ხალხის ძალის ლიდერი გურამ მაჭარაშვილი 26 სექტემბერს ღიად ამტკიცებდა, რომ "როგორც უკრაინაში, გერმანიასა და სამწუხაროდ, საბერძნეთში დაკანონდა ლგბტ პროპაგანდა, სწორედ ისე სურთ, ამ კანონის საქართველოში დაკანონება".

ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებაა. ლგბტ თემის ემანსიპაცია და მათი დისკრიმინაციისგან დაცვა თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. გასულ წლებში ქვიარ თემის წინააღმდეგ ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულებისა და მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისადმი მმართველი პარტიის ინდიფერენტულობა და ახლახან მიღებული ჰომოფობიური კანონი ხშირად გამხდარა დასავლელი ლიდერების კრიტიკის საგანი.

დასავლური ინსტიტუტები ქართულ ოცნებას ხშირად მოუწოდებენ დაიცვან ლგბტ თემის საბაზისო უფლებები და არ დაუშვან მათი სტიგმატიზება. თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ დასავლელი ლიდერები საქართველოს ხელისუფლებას ან ქართულ საზოგადოებას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შეცვლას, არასრულწლოვანებისთვის სავალდებულო სქესის შეცვლის ოპერაციის ან ერთნაირსექსიანთა ქორწინების დაკანონებას აიძულებდეს.

ამასთან, თავად ევროკავშირშიც არსებობენ სახელმწიფოები, სადაც ერთნაირსექსიანთა ქორწინება ლეგალური არ არის. თუმცა მმართველმა პარტიამ ადამიანის უფლებების, კერძოდ კი ქვიარ თემის უფლებების დაცვისკენ მოწოდება ლგბტ პროპაგანდის თავსმოხვევად აღიქვა, რაც დასავლეთისკენ მიმართული დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილია.

“ევროპული სტანდარტი”

„ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ საქართველომ **ევროპული, დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა შექმნა.** თუმცა, განსხვავებული შეხედულებები მიუთითებს საპირისპიროზე, იმდენად, რამდენადაც დასავლელი პარტნიორები და ადგილობრივი ორგანიზაციები „კლანური მმართველობის“ არსებობაზე საუბრობენ. მათი შეფასებით, მოსამართლეების მცირე ჯგუფი, რომელიც მმართველ პარტიასთანაა დაახლოებული, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასამართლო პროცესებსა და მოსამართლეების დანიშვნებზე. ბოლო პერიოდში აშშ-ის მიერ ქართული მოსამართლეების მიმართ კორუფციის გამო დაწესებულმა სანქციებმა სასამართლო რეფორმებისკენ მოწოდებები კიდევ უფრო გაამწვავა, რასაც მთავრობისგან წინააღმდეგობა და პოლიტიკური ნების არარსებობა შეხვდა. ამ კონტექსტში, მმართველი პარტიის ლიდერებს მოსამართლეების შემოწმების (ვეტინგის) პროცესი კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიაჩნიათ. სასამართლოებში პარტიული ერთგულების დამკვიდრებამ გააჩინა შეშფოთება, რომ სისტემა ოპოზიციური ხმების ჩახშობის და მთავრობის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ინსტრუმენტად იქცა, რაც „ქართული ოცნების“ მიერ წამოყენებულ დემოკრატიულ საფუძვლებს ეჭვქვეშ აყენებს.

პოლიტიკური ანალიზი

ნამდვილი ძლიერი სახელმწიფო დაფუძნებულია მისი დამოუკიდებელი ინსტიტუტების სიძლიერეზე, რომლებიც მხარს უჭერენ დემოკრატიას, უზრუნველყოფენ ანგარიშვალდებულებას და იცავენ მოქალაქეთა უფლებებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემა, საარჩევნო კომისიები, მედია, ანტიკორუფციული სააგენტოები და ცენტრალური ბანკები. სასამართლო სისტემა უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების აღკვეთით და კანონების სამართლიანი აღსრულებით. საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ არჩევნების სანდოობას, დემოკრატიული მმართველობის ქვაკუთხედს. თავისუფალი პრესა მოქმედებს როგორც დამკვირვებელი, აკისრებს ლიდერებს პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს საზოგადოების ხელმისაწვდომობას მიუკერძოებელ ინფორმაციაზე. ანტიკორუფციული სააგენტოები ხელს უწყობენ მთავრობის სანდოობის შენარჩუნებას საჯარო რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციით. ცენტრალური ბანკები ასტაბილურებენ ეკონომიკას დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ნდობასა და მდგრადობას. როდესაც ეს ინსტიტუტები კარგავენ დამოუკიდებლობას, სახელმწიფოები მიდრეკილნი ხდებიან ავტორიტარიზმის, კორუფციისა და საზოგადოების ნდობის დაკარგვისკენ.

ამ ინსტიტუტებს შორის სასამართლო სისტემა უდაოდ გადამწყვეტ როლს ასრულებს. დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის, ინდივიდუალური უფლებების და კანონის წინაშე თანასწორობის დაცვას. ის გარანტიას იძლევა, რომ როგორც საჯარო მოხელეები, ისევე კერძო მოქალაქეები პასუხისმგებელნი იქნებიან კანონის წინაშე და ამასთანავე, ზღუდავს ზეწოლას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან. სასამართლოები უზრუნველყოფენ ძალაუფლების აუცილებელ გაკონტროლებას მთავრობის ქმედებების განხილვით, სამოქალაქო თავისუფლებების დაცვით და კანონების კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის დადგენით. როდესაც სასამართლო თავისუფალია პოლიტიკური ჩარევისგან, ის ავითარებს ნდობას საკანონმდებლო სისტემის მიმართ, რაც აძლიერებს სოციალურ სტაბილურობას და ხელს უწყობს ინვესტიციებს, არწმუნებს რა მოქალაქეებსაც და ბიზნესებსაც რომ კანონი მიუკერძოებლად იქნება გამოყენებული.

თუმცა, ავტორიტარული რეჟიმები აქტიურად ცდილობენ ძირი გამოუთხარონ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, რათა გააძლიერონ საკუთარი ძალაუფლება. მათი

მთავარი სამიზნე ხშირად სასამართლო სისტემაა, რადგან მიუკერძოებელ სამართლებრივ სისტემას შეუძლია გააუქმოს თვითნებური გადაწყვეტილებები, ამხილოს კორუფცია ან/და დაბლოკოს არაკონსტიტუციური ქმედებები. ამ შეზღუდვების თავიდან აცილების მიზნით, ავტორიტარული მთავრობები ასუსტებენ სასამართლოებს მათდამი ლოიალური ადამიანების დანიშვნით, საკანონმდებლო ჩარჩოს შეცვლით ან მოსამართლეების დაშინების გზით.

ბოლო პერიოდში, რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ ბოლო დროს განიცადა. მაგალითად, უნგრეთში ვიქტორ ორბანის მთავრობა 2010 წლიდან თანდათან ძირს უთხრის სასამართლო სისტემის, მედიისა და საარჩევნო სისტემების დამოუკიდებლობას. ორბანმა შექმნა ახალი ორგანო, ეროვნული სასამართლო ოფისი (NJO), რომელიც მართავს სასამართლოებს, მის ხელმძღვანელს მიენიჭა უფლებამოსილება დანიშნოს და დააწინაუროს მოსამართლეები. სასამართლო სისტემის საპენსიო ასაკის უეცარმა შემცირებამ ასევე აიძულა გამოცდილი მოსამართლეები გადამდგარიყვნენ, რამაც მთავრობას მისცა საშუალება დაენიშნა მათდამი ლოიალურად განწყობილი ადამიანები.

ანალოგიურად, პოლონეთში კანონისა და სამართლიანობის პარტია (PiS) 2015 წლიდან ახორციელებს რეფორმებს, რომლებმაც გაანადგურეს სასამართლო დამოუკიდებლობა, რასაც ევროკავშირის კრიტიკა მოჰყვა კანონის უზენაესობის შელახვის გამო. PiS-ის სამიზნე იყო საკონსტიტუციო ტრიბუნალი, რომელიც აკონტროლებს კანონმდებლობის კანონიერებას. ლოიალური მოსამართლეების დანიშვნით და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სასამართლო დანიშვნებზე კონტროლის მინიჭებით, აღნიშნული ინსტიტუცია ფაქტიურად მთავრობის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. მთავრობამ ასევე შემოიღო დისციპლინური მექანიზმები მოსამართლეებზე ზეწოლის მიზნით, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მის პოლიტიკას. უზენაეს სასამართლოში განხორციელებულმა რეფორმებმა კიდევ უფრო შეამცირა მოსამართლეთა საპენსიო ასაკი, რამაც მთავრობას საშუალება მისცა გადაეყენებინა და ჩაენაცვლებინა სასამართლო ძირითადი ფიგურები.

თურქეთი კიდევ ერთ მსგავს მაგალითს გვთავაზობს, სადაც პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი სისტემატურად ანადგურებს დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, განსაკუთრებით 2016 წლის გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საბაბით, ერდოღანის მთავრობამ „გაწმინდა“ ათიათასობით მოსამართლე, პროკურორი, აკადემიკოსი და საჯარო მოხელე, ბევრი მათგანი შეცვალა ლოიალისტებით. სასამართლო სისტემა გადაკეთდა რეჟიმის იარაღად, რომელიც

გამოიყენება ოპოზიციისა და განსხვავებული აზრის დასათრგუნად, მმართველი პარტიის ძალაუფლების კონტროლის გასაძლიერებლად.

რამდენადაც ავტორიტარიზმი სულ უფრო ტრანსნაციონალური ხდება, რეჟიმები ერთმანეთისგან სწავლობენ. ქართული ოცნების მთავრობაც ანალოგიურად ძირს უთხრის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას საკუთარი კონტროლის გასაძლიერებლად. შედეგად, ძლევამოსილ მოსამართლეთა მცირე ჯგუფს, რომელიც ცნობილია როგორც „მოსამართლეთა კლანი“, მიეცა უფლებამოსილება მოეხდინა მნიშვნელოვანი გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და დანიშვნებზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების მცდელობები, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლო ქცევის ზედამხედველობაზე, ან შეჩერებულია ან უმნიშვნელოა, რის შედეგადაც, სასამართლო სისტემას აყალიბებს პოლიტიკური ინტერესები. უფრო მეტიც, საქმეები ოპოზიციის ლიდერებთან, აქტივისტებთან და დამოუკიდებელ მედიასთან ხშირად მიკერძოებულად განიხილება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო სისტემა გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი განსხვავებული აზრის გასაჩუმებლად და ხელისუფლების ინტერესების დასაცავად.

ქართული ოცნების მთავრობა იყენებს ამ ტაქტიკას ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ოპოზიციური ხმების განეიტრალებისა და საკვანძო ინსტიტუტების კონტროლის გზით. მართლმსაჯულების დაქვემდებარებით, მთავრობა გაურბის მისი ქმედებების სამართლებრივ შემოწმებას და ქმნის დამცავ ფარს პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან, რითაც ახანგრძლივებს მის მმართველობას და ინარჩუნებს ლეგიტიმურობის იმიტაციას.

მართლმსაჯულების ხელში ჩაგდებით, ეს რეჟიმები თავიდან იცილებენ თავიანთი უფლებამოსილების და გადაწყვეტილებების გაკონტროლებას. როდესაც დამოუკიდებელი ინსტიტუტები კომპრომიტირებულია, საზოგადოების ნდობა უარესდება და დემოკრატიული პრინციპები თანდათან იშლება. ავტორიტარული კონტროლის ქვეშ მყოფი სასამართლოები ხშირად არის გამოყენებული პოლიტიკური რეპრესიების გასამართლებლად, ოპონენტების დასასჯელად და კრიტიკული ხმების გასაჩუმებლად, თან ამავდროულად კანონიერების ილუზიის შენარჩუნებით.

შეჯამების სახით, კარგი სახელმწიფო განისაზღვრება არა მხოლოდ მის მიერ მიღებული კანონებით, არამედ დამოუკიდებელი ინსტიტუტების მეშვეობით. სასამართლო სისტემა, განსაკუთრებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას და ხელს უშლის ძალაუფლების კონცენტრაციას.

ამის საპირისპიროდ, ავტორიტარული რეჟიმები საკუთარ ძალაუფლებას ზრდიან ამ ინსტიტუტების - განსაკუთრებით სასამართლოების - ძირის გამოთხრით. ამიტომ სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა არსებითია დემოკრატიული მმართველობის შენარჩუნებისთვის.

მედია ანალიზი

12 წლის შემდეგ - ევროპული სტილის მართლმსაჯულება თუ კლანური მმართველობა?

ქართული ოცნება ამომრჩევლებს არწმუნებს, რომ 12 წელიწადში მმართველმა გუნდმა მართლმსაჯულების ევროპული სტანდარტის სისტემა შექმნა. განსხვავებულ რეალობაზე მიუთითებს სანქციები მოსამართლეების წინააღმდეგ, კრიტიკა კლანური მმართველობის გამო და ევროპელი პარტნიორების რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა.

ქართული ოცნების ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება 2012 წელს სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლება და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა იყო. 12 წლის შემდეგ კი წინასაარჩევნოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებს ამომრჩევლებისთვის განსხვავებული გზავნილი აქვთ. მმართველ გუნდში ამბობენ, რომ *ქართულმა ოცნებამ* უკვე ააშენა ქვეყანა, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები პროფესიონალურად ასრულებენ მოვალეობას, ხოლო მართლმსაჯულების სისტემა ევროპულ სტანდარტთანაა თანხვედრაში.

"ამაყი ვარ, რომ თქვენთან ერთად, საქართველოს მოსახლეობის მუდმივი მხარდაჭერით, 12 წელიწადში ავაშენეთ ქვეყანა, რომელშიც ხელისუფლება ემსახურება ხალხს და ყველა ინსტიტუცია პროფესიონალურად ასრულებს თავის მოვალეობას; ქვეყანა, სადაც ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს თუ სტუმარს ღირსეულად შეუძლია ცხოვრება განურჩევლად მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა; ქვეყანა, სადაც აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, იქნება ეს: ჯანდაცვის, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სფერო – მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს; ქვეყანა, სადაც ძალოვანი უწყებები და მართლმსაჯულების სისტემა თანხვედრაშია ევროპულ სტანდარტთან", – განაცხადა *ქართული ოცნების* საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა 10 ოქტომბერს.

დამოუკიდებელი სასამართლო ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი და სამართლის უზენაესობის მთავარი გარანტია. სწორედ დამოუკიდებელი სასამართლო უზრუნველყოფს ყველა ინსტიტუტის სათანადო ფუნქციონირებას.

სასამართლო ხელისუფლება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფადაც. მისი როლი არა მხოლოდ კონკრეტული დავების გადაწყვეტით შემოიფარგლება, არამედ სწორედ სასამართლო უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის მთლიანობის დაცვას, ამომრჩეველთა ნების პატივისცემასა და დემოკრატიული პრინციპების დაცვას.

დღეს *ქართული ოცნების* ხელისუფლებაში მოსვლიდან 12 წლის შემდეგ, "კლანური მმართველობა" ის ტერმინია, რომელსაც საქართველოში ერთ-ერთი საკვანძო სისტემის - სასამართლოს დახასიათებისას ყველა ხშირად იყენებენ. საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის "კლანზე" არა მხოლოდ ადგილობრივი ორგანიზაციები, არამედ დასავლელი პარტნიორებიც ხშირად წერენ.

მართლმსაჯულების როგორი სისტემა შექმნა ქართულმა ოცნებამ 12 წელიწადში?

სასამართლოს თემაზე მომუშავე არა ერთი ორგანიზაციის შეფასებით, დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ისეთივე ჩაკეტილი ორგანოა, როგორიც 2013 წლამდე იყო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ ფაქტობრივად აკრძალა სხდომების მონიტორინგი და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ რეჟიმში თუ მოთხოვნის საფუძველზე გაცემა.

უზენაესი სასამართლო "ქართულმა ოცნებამ" მთლიანად სასურველი მოსამართლეებით დააკომპლექტა, სადაც 28-ვე მოსამართლე უვადოდ არის არჩეული. მათ შორის ერთ-ერთი მათგანი, ნიკოლოზ მარსაგიშვილი წინასწარ, თითქმის ერთი წლით ადრე გაამწესა.

მიუხედავად იმისა, რომ უზენაეს სასამართლოს კანდიდატებთან გასაუბრებები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, კეთილსინდისიერებასა და კვალიფიციურობაზე ეჭვები ვერ გაიფანტა. ეუთო/ოდირმა, აშშ-ის საელჩომ, ევროსაბჭოს საპარლამენტო მონიტორინგის ჯგუფმა - ყველამ ერთხმად მიანიშნა, რომ კანდიდატთა ნაწილმა საკმარისი იურიდიული ცოდნა და მიუკერძოებლობისადმი ერთგულება ვერ გამოავლინა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მესამე შუალედურ ანგარიშში ისიც იყო ნათქვამი, რომ "იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების აპლიკაციების, გამოცდილების შემოწმებისა და ინტერვიუს პროცედურები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს". ეუთომ სასამართლო სისტემაში პრობლემების მოგვარების შესახებ პოლიტიკური ნების არარსებობა და ამ მხრივ ეფექტიანად მუშაობის მცდელობების სიმწირე დაასახელა.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ სამწლიანი გამოსაცდელი ვადით 2015 წელს ლევან მურუსიძე აირჩიეს. მურუსიძის სახელი არაერთ გახმაურებულ საქმეს უკავშირდება. ლევან მურუსიძე 2006 წელს მოკლული სანდრო გირგვლიანის საქმის განმხილველი მოსამართლე იყო. ამ საქმეზე კი სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს იმდროინდელი მთავრობის წინააღმდეგ გირგვლიანის ოჯახის სარჩელი და განაცხადა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიებას "აშკარად აკლდა საჭირო დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და საფუძვლიანობა".

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ "გაოგნებული იყო იმ ფაქტის გამო, რომ არც პროკურატურა და არც ადგილობრივი სასამართლოები არ შეეცადნენ გაერკვიათ" საქმის ძირითადი გარემოებები.

2023 წლის 5 აპრილს გირგვლიანის მოსამართლეს, ლევან მურუსიძეს აშშ-მ „საჯარო თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა" და „მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართვის" გამო სანქციებიც დაუწესა მასთან ერთად, სანქციების სიაში მოხვდა 2 მოქმედი და ერთ ყოფილი მოსამართლე - მიხეილ ჩინჩალაძე, ირაკლი შენგელია, ვალერიან ცერცვაძე.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ „მნიშვნელოვანი კორუფციის" გამო სანქცირებული სამი მოქმედი მოსამართლიდან სამივე უვადოდ არის დანიშნული და თანამდებობაზე ყოფნა 65 წლის ასაკამდე შეუძლიათ. ლევან მურუსიძეს დრო 2040 წლამდე აქვს, მიხეილ ჩინჩალაძეს - 2043 წლამდე, ხოლო ირაკლი შენგელიას - 2041 წლამდე.

საინტერესოა ისიც, რომ ლევან მურუსიძე 2022 წლის 23 ოქტომბერს იუსტიციის საბჭოში მეორე ვადით დაბრუნდა. მასთან ერთად იუსტიციის საბჭოშია დიმიტრი გვრიტიშვილიც, რომელიც ე.წ. სასამართლო კლანის გავლენიან წევრად ითვლება. მათ საბჭოში ხელმეორედ დანიშვნას მოსამართლეთა კონფერენციის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ორგანიზაცია საქართველოს სასამართლოს გუშაგის თქმით, სასამართლოში, სადაც 100-ზე მეტი მოსამართლის ადგილი ვაკანტურია, კონკურსების ჩატარებამაც კი აზრი დაკარგა, რადგან შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლეობის სურვილი სულ უფრო ნაკლებ ადამიანს აქვს საქართველოში.

“ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” შეფასებით, დღეს უმაღლესი იუსტიციის საბჭოს ხელშია სამი მექანიზმი, რომლითაც ე.წ. სასამართლო კლანი სისტემას მართავს:

- მოსამართლეების დანიშვნის ნეპოტისტური სისტემა;
- სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნა, რომელიც ასევე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ხდება;
- დისციპლინარული სამართალწარმოება, რომელიც საბჭომ შეიძლება დამოუკიდებლად მოქმედი მოსამართლეების დასასჯელად გამოიყენოს.

რას ითვალისწინებს ევროპული სტანდარტი?

მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო, ევროკომიის რეკომენდაციებში სასამართლოსთან დაკავშირებით ახალი მოთხოვნა გაჩნდა. საქართველოს ხელისუფლებას მოსამართლეების ნაწილის კეთილსინდისიერების შემოწმება დაევალა. ამისთვის კი ისეთი ტიპის სისტემის შექმნაა საჭირო, სადაც საერთაშორისო სპეციალისტებს გადაწყვეტილების მიღების უფლება ექნებათ.

ევროკავშირში მოსამართლეების შემოწმების ეს მეთოდი ვეტინგის (Vetting) სახელითაა ცნობილი. კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმი დროებითი უნდა იყოს და სასამართლო სისტემაში მხოლოდ მნიშვნელოვანი თანამდებობის მქონე მოსამართლეებს შეეხება.

ხელისუფლება კი ამ რეკომენდაციის შესრულებას არ აპირებს. საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის, ირაკლი კობახიძისთვის ვეტინგი მიუღებელია, რადგან, მისი თქმით, ეს პროცესი "კონსტიტუციას ეწინააღმდეგება".

"ჩვენ უვადოდ გამწესებული მოსამართლეები გვყავს, რომელთაც ასაკობრივი ზღვარის ამოწურვამდე ვერავინ შეეხება. ყოველგვარი ისეთი ინიციატივა, რომელიც მოსამართლის უვადოობის პრინციპს ეწინააღმდეგება, თავისთავად, კონსტიტუციასთანაცაა წინააღმდეგობაში", - ამბობს ირაკლი კობახიძე.

ანტი-ლიბერალიზმი



Christina Animashaun/Vox

მმართველი პარტია ქართული ოცნება „ფსევდოლიბერალიზმისა“ და „ფაშისტური ლიბერალიზმის“ ნარატივს ქმნის, რომლითაც ლიბერალური ღირებულებები უცხოურ ზეგავლენად და საქართველოს იდენტობის, ოჯახის ღირებულებებისა და მართლმადიდებლობის მიმართ საფრთხედ არის წარმოჩენილი. ამ რიტორიკის მეშვეობით, მთავრობა ოპოზიციას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დასავლურ ინსტიტუტებს მორალურ გადაგვარებასა და საზოგადოების დაყოფაში ადანაშაულებს. ეს მიდგომა მსგავსია სხვა ავტორიტარული რეჟიმებისა, როგორიცაა რუსეთი და უნგრეთი, სადაც ლიდერები ლიბერალურ ღირებულებებს უარყოფენ, როგორც მორალურად დაცემულს. პარალელურად კი თავად ამცირებენ სამოქალაქო თავისუფლებებსა და მმართველობის კონტროლის საშუალებას. „ქართული ოცნება“ ლიბერალურ ტერმინებს — „ადამიანის უფლებებს“ ან „გამჭვირვალობას“ — შერჩევით იყენებს, რათა გაამართლოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დემოკრატიულ ნორმებს ანგრევს, ხოლო ტრადიციების დაცვის საფარქვეშ ნაციონალისტური გრძნობების გაერთიანებასა და ძალაუფლების გამყარებას ისახავს მიზნად.

პოლიტიკური ანალიზი

ბოლო წლებში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ დაამკვიდრა „ფსევდო-ლიბერალიზმის“ რიტორიკა, როგორც პოლიტიკური იარაღი ოპოზიციურ პარტიებზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე და დასავლურ ინსტიტუტებზე თავდასხმისთვის. პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე პარტიის სხვა წევრებთან ერთად, ფსევდოლიბერალიზმს ხატავს, როგორც ბოროტ ძალას, რომელიც თავს ესხმის საქართველოს ტრადიციებს, ხელს უწყობს "ლგბტ+ პროპაგანდას" და ანადგურებს ქვეყნის ფუნდამენტურ ღირებულებებს. მსგავსი პრაქტიკა, როდესაც მთავრობები აკრიტიკებენ ლიბერალიზმს და იმავდროულად ეწევიან არალიბერალურ პრაქტიკას არ არის უნიკალური საქართველოსთვის. სინამდვილეში, ეს არის მრავალი ავტორიტარული და ჰიბრიდული რეჟიმის დამახასიათებელი ნიშანი, რომლებიც ამგვარ რიტორიკას იყენებენ თავიანთი კონტროლის ლეგიტიმაციისთვის.

ლიბერალიზმი, თავისი არსით, ზღუდავს სახელმწიფო ძალაუფლების ფარგლებს. ის ხელს უწყობს პლურალიზმს, იცავს უმცირესობათა უფლებებს და უზრუნველყოფს ძალთა ბალანსს დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით. ეს ჩარჩო არსებითად ემუქრება რეჟიმებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დემოკრატიული ინსტიტუტების მოშლას და მაქსიმალურ კონტროლს. ავტორიტარული ან ჰიბრიდული რეჟიმები ხშირად ტირაჟირებენ თითქოს ლიბერალიზმი არის გარედან თავსმოხვეული იდეები, რომლებიც ეწინააღმდეგება „ტრადიციულ“ სოციალურ ნორმებს.

საქართველოს კონტექსტში „ქართული ოცნება“ ლიბერალიზმს ხატავს, როგორც იდეოლოგიას, რომელიც ძირს უთხრის მართლმადიდებლურ ეკლესიას, ანგრევს ოჯახურ ღირებულებებს და საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას. ისინი იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ფსევდო-ლიბერალიზმი“ ან „ლიბერალური-ფაშიზმი“, რაც პოლიტიკური პროექციის ფორმაა: მაშინ, როცა მთავრობა აცხადებს, რომ იცავს საქართველოს იდენტობას გარე საფრთხეებისგან, ის რეალურად ახორციელებს მთელ რიგ თავისუფლების შემზღუდავ პოლიტიკას. მაშასადამე, ხელისუფლების ფსევდო-

კონსერვატიზმი ემსახურება ძალაუფლების კონსოლიდაციას კრიტიკოსების გაჩუმებით და ნაციონალისტური განწყობის მობილიზებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ცალსახად ქართული ფენომენი. რუსეთში ვლადიმერ პუტინი დიდი ხანია ასახელებს დასავლურ ლიბერალიზმს, როგორც დეკადენტს, წარმოაჩენს რა ლგბტ+ უფლებებს, როგორც უფრო ფართო კულტურული დაცემის სიმბოლოს. ეს ნარატივი ლეგიტიმაციას უწევს განსხვავებული აზრის დევნას და ოპოზიციური ფიგურების და უფლებადამცველი ორგანიზაციების უცხოური იდეოლოგიის აგენტებად მონათვლას. ანალოგიურად, ვიქტორ ორბანმა დაადანაშაულა ევროკავშირი და ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები "ლიბერალური ფაშიზმის" ხელშეწყობაში უნგრეთის სუვერენიტეტის შელახვის მიზნით. ამის საპირწონედ, თავს "არალიბერალური დემოკრატიის" დამცველად ასახელებს.

ლიბერალიზმზე თავდასხმისას ეს ავტორიტარული მთავრობები ხშირად თავს წარმოაჩენენ ნამდვილ კონსერვატორებად; თუმცა, ეს არის მხოლოდ ფასადი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ფსევდო-კონსერვატიზმი. ფსევდო-კონსერვატორული რეჟიმები თავს ტრადიციის დამცველებად წარმოაჩენენ და იმავდროულად დემოკრატიულ ნორმებს ანადგურებენ. მსგავსი იდეოლოგიის გამოყენება, მთავრობას პირველ რიგში უმარტივებს მოსახლეობის გამაერთიანებელი იდენტობის შექმნას. იდენტობის, რომელიც ორიენტირებულია ნაციონალიზმის, რელიგიისა და ოჯახური ღირებულებების ირგვლივ. საქართველოში ეს ნიშნავს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მაქსიმალურ დაახლოებას და ეკლესიის ნებისმიერი კრიტიკის წარმოდგენას, როგორც თავდასხმას ქართულ იდენტობაზე. ამასთანავე, პოლიტიკური ოპონენტების და სამოქალაქო საზოგადოების ტრადიციის მტრებად წარმოჩენით, მთავრობას საჯარო დისკურსი სტრუქტურული საკითხებიდან - როგორიცაა სიღარიბე, კორუფცია ან კანონის უზენაესობა - კულტურულ და მორალურ დებატებზე გადააქვს.

გარდა ამისა, ფსევდო-კონსერვატიზმი საშუალებას აძლევს ავტორიტარულ რეჟიმებს შერჩევით მიიღონ ლიბერალური რიტორიკა. „ქართული ოცნება“ საჯარო დისკურსში საუბრობს „ადამიანის უფლებებზე“ და „კანონის უზენაესობაზე“, მაგრამ პრაქტიკაში ამახინჯებს ამ პრინციპებს. მაგალითად, მათი რიტორიკა „ოჯახური ფასეულობების“

დასაცავად ნიღბავს დისკრიმინაციულ პოლიტიკას უმცირესობათა ჯგუფების მიმართ, ხოლო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონი რეალურად ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს ანგარიშვალდებულების ნიღბის ქვეშ. ლიბერალური ტერმინოლოგიის ეს შერჩევითი გამოყენება ქმნის დაბნეულობას, რაც ურთულებს მოქალაქეებს და გარე დამკვირვებლებს დემოკრატიული პრინციპების ეროზიის მკაფიოდ იდენტიფიცირებას.

უნგრეთის ქეისი ამის კარგი მაგალითია: ერთი მხრივ, ორბანის მთავრობა საუბრობს „სუვერენიტეტზე“ და „დემოკრატიაზე“ და ამავდროულად ძირს უთხრის სასამართლოს დამოუკიდებლობას და აჩუმებს თავისუფალ პრესას. ეს რიტორიკული სტრატეგია შლის ხაზებს დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის, რაც საშუალებას აძლევს რეჟიმებს შეინარჩუნონ ლეგიტიმურობის სახე კონტროლის კონსოლიდაციის დროს.

საქართველოში ლიბერალიზმზე თავდასხმა კიდევ ერთ კრიტიკულ ფუნქციას ასრულებს: მას საშინაო გამოწვევებზე პასუხისმგებლობა გარე ძალებზე გადააქვს. პრემიერ-მინისტრ კობახიძის განცხადებები ამ სტრატეგიას კარგად ასახავს. კობახიძე ლიბერალიზმს წარმოაჩენს, როგორც დასავლეთის ჩარევის პროდუქტს, რომელიც საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს. ერის დამცველად პოზიციონირებით „ქართული ოცნება“ ოპოზიციურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს უცხოური დღის წესრიგის მარიონეტებად ასახავს, რითაც ახდენს განსხვავებული აზრის დელეგიტიმაციას.

მსგავსი მაგალითები სხვა ქვეყნებშიც შეიმჩნევა. მაგალითად, რუსეთში ლიბერალური ოპოზიციონერები ხშირად არიან მოხსენიებულნი როგორც „უცხოეთის აგენტები“, რომლებიც ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მუშაობენ. ანალოგიურად, ორბანის მთავრობა წარმოაჩენს ევროკავშირს იმპერიულ ძალად, რომელიც ცდილობს უნგრეთის იდენტობის შეცვლას ლიბერალური ღირებულებების მეშვეობით. ეს ნარატივები ქმნის გარე საფრთხის განცდას, აძლიერებს ნაციონალისტურ განწყობებს და ამართლებს შიდა რეპრესიებს.

შეჯამებისთვის, ქართული ოცნების ხელისუფლების მიერ ფსევდო-ლიბერალიზმის რიტორიკულ ინსტრუმენტად გამოყენება ავლენს უფრო ფართო ტენდენციას

ავტორიტარულ და ჰიბრიდულ რეჟიმებს შორის. ლიბერალიზმზე თავდასხმით ეს მთავრობები თავს ტრადიციისა და ეროვნული იდენტობის მფარველებად წარმოაჩენენ. თუმცა, მათი ქმედებები ხშირად ეწინააღმდეგება იმ ღირებულებებს, რომლებსაც ისინი გაცხადებულად ემხრობიან და ამას მხოლოდ ავტორიტარული კონტროლის გასაზრდელად იყენებენ.

„ფსევდო-ლიბერალიზმის“ ცნება ფაქტიურად სარკის როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტარული რეჟიმები ადანაშაულებენ თავიანთ ოპონენტებს "არასწორი" ლიბერალიზმის ხელშეწყობაში, თავად ეს რეჟიმები არიან ჩართულნი ფსევდო-კონსერვატიზმში - ითვისებენ ტრადიციას განსხვავებული აზრის ჩასახშობად და საკუთარი ავტორიტარიზმის შესანიღბად. საქართველო, ისევე როგორც ავტორიტარული ტენდენციების მქონე სხვა სახელმწიფოები, გვთავაზობს მაგალითს, თუ როგორ ხდება ძალაუფლების კონსოლიდაცია კულტურული კონსერვატიზმის, პოლიტიკური პროექციისა და შერჩევითი რიტორიკის კომბინაციით. ამ დინამიკის გაგება აუცილებელია არა მხოლოდ ასეთი მთავრობების ანგარიშვალდებულებისთვის, არამედ იმ დახვეწილი გზების გამოაშკარებისთვისაც, რომლითაც ავტორიტარიზმი თავს ინიღბავს ტრადიციების დაცვის სახელით.

მედია ანალიზი

"ქართული ოცნება": ფსევდოლიბერალები ფსევდოლიბერალიზმის წინააღმდეგ

უკანასკნელ წლებში "ქართული ოცნება" ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დასავლელი პარტნიორების კრიტიკისას ხშირად იყენებს ტერმინს "ფსევდოლიბერალიზმი".

22 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, "რაც შეეხება ფსევდოლიბერალურ პროპაგანდას, ეს არის გლობალური მასშტაბის უმძიმესი პრობლემა." მსგავსი შინაარსის განცხადება გაიმეორა მან სექტემბერში,

"მთელი კოლექტიური „ნაცმოძრაობა", რომელშიც შედიან შესაბამისი პარტიები, შესაბამისი „ენჯეოები", შესაბამისი მედიასაშუალებები, პირდაპირ არიან ჩართული ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელებაში, რომლის ერთ-ერთი მთავარი ხაზი არის ლგბტ პროპაგანდა…ისინი მუდმივად თავს ესხმიან მართლმადიდებელ ეკლესიას. მათ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად აქვთ დასახული მართლმადიდებელი ეკლესიის რეპუტაციის შელახვა, რასაც ვერ ახერხებენ, მაგრამ მაინც არ ეშვებიან ამ თემას. ეს პარტიები პირდაპირ უპირისპირდებიან საქართველოში ტრადიციულ ფასეულობებს. აქედან გამომდინარე, მარტო ის კი არ არის, რომ რაღაცას ვერ ხედავენ, პირდაპირ უპირისპირდებიან ტრადიციულ ღირებულებებს, ფასეულობებს ჩვენს ქვეყანაში."

ფსევდოლიბერალიზმზე ისაუბრა ბიძინა ივანიშვილმა 25 აგვისტოს, "აქაური აგენტურა დიდი ენთუზიაზმით იცავს და ავრცელებს ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას, რომლის მიზანიც ყოველგვარი ტრადიციული ფასეულობების მოშლა, ადამიანების ღირსებისგან თუ მორალისგან სრული დაცლა და ყველაზე დაბალი რანგის მონებისგან შემდგარი, ერთი ფსიქოლოგიის მქონე მასის შექმნაა."

რა არის (ფსევდო) ლიბერალიზმი?

ლიბერალიზმი, რომელზეც თანამედროვე დასავლური ცივილიზაციაა დაფუძნებული, პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომლის ფუნდამენტი თავისუფლება, ადამიანის უფლებები,

კანონის წინაშე თანასწორობა, კერძო საკუთრება და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი ხელისუფლების არსებობაა.

“ქართული ოცნების” წევრების თქმით, ფსევდოლიბერალიზმი მოიცავს ლგბტ პროპაგანდას, მართლმადიდებლური ეკლესიაზე თავდასხმას, ტრადიციულ ღირებულებებთან და ფასეულობებთან ბრძოლას და “დაბალი რანგის მონებისგან შემდგარი, ერთი ფსიქოლოგიის მქონე მასის შექმნას”.

(ლგბტ პროპაგანდის შესახებ წაიკითხეთ აქ).

ლიბერალიზმი ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. ლიბერალური ღირებულებები უმცირესობების უფლებებს იცავს და მათ მიმართ დისკრიმინაციას ეწინააღმდეგება. ლიბერალიზმის პირობებში დაცულია ლგბტ+ თემის უფლებები, გამოხატვის თავისუფლება და უზრუნველყოფილია მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ლიბერალიზმი მხარს უჭერს რელიგიის თავისუფლებას. შესაბამისად დაუშვებელია ადამიანის აღმსარებლობის ნიშნით დევნა და დისკრიმინაცია. ამასთან ლიბერალიზმი მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს უჭერს მხარს და ლიბერალურ დემოკრატიებში განსხვავებული რელიგიები და კონფესიები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. ამასთან, ლიბერალიზმი მხარს უჭერს სეკულარულ საზოგადოებას, სადაც სახელმწიფო და რელიგია ერთმანეთისგან გამიჯნულია.

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზმი პროგრესსა და ცვლილებებს ესწრაფვის, რაც ხშირად ანაქრონული ტრადიციების გადაფასებას მოიაზრებს, ლიბერალიზმი მხარს უჭერს კულტურულ პლურალიზმს და განსხვავებული საზოგადოებების უნიკალურ კულტურულ მახასიათებლებს და პატივს სცემს მათ ტრადიციებს.

რაც შეეხება “ერთი ფსიქოლოგიის მქონე მასის შექმნას”, ლიბერალიზმის ფუნდამენტი ინდივიდის თავისუფლებაა, მათ შორის აზროვნებისა და აღმსარებლობის თავისუფლება. ლიბერალიზმში ინდივიდის განსხვავებულობა დევნისა და გარდაქმნის საგანს არ წარმოადგენს და გარანტირებულია განსხვავებული ადამიანების თანასწორობა და საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია. ინდივიდის ჰომოგენურ მასის ნაწილად გარდაქმნა კი არათუ ლიბერალიზმის, არამედ ფაშიზმის ნაწილია.

თავსართი "ფსევდო" ამა თუ იმ ცნების სიყალბეზე ან არაგულწრფელობაზე მიუთითებს. ტერმინი "ფსევდოლიბერალიზმი" იმ პოლიტიკური ფენომენის აღსაწერად გამოიყენება, რომელიც თეორიულად ლიბერალურ ღირებულებებს იზიარებს, თუმცა პრაქტიკაში ეწინააღმდეგება მას. ფსევდოლიბერალები ხშირად ისეთ პოლიტიკას ატარებენ, რომელიც ინდივიდის თავისუფლებას, თანასწორობასა და კანონის უზენაესობას ზღუდავს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ისინი საჯაროდ ლიბერალური ღირებულებების დაცვაზე საუბრობდნენ.

ფსევდოლიბერალიზმი აკადემიურ წყაროებში ნაკლებად გამოიყენება და უფრო მეტად მედიასა და პოლიტიკური კომენტირებისას გამოიყენება, თუმცა პოლიტიკის თეორიაში არსებობს მსგავსი შინაარსის მქონე ცნებები, როგორიცაა ილიბერალიზმი ან ილიბერალური დემოკრატია. ფსევდოლიბერალიზმი ჰიბრიდულ და ავტორიტარულ რეჟიმებში დემოკრატიის ფასადის შემცვლელ ტერმინადაც შეიძლება გამოვიყენოთ. მაგალითად, თანამედროვე უნგრეთი, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიტერ სიიარტომ "იმედთან" ინტერვიუშიც გამოიყენა ტერმინი "ფსევდოლიბერალიზმი".

"ქართული ოცნების" წარმომადგენლები საჯაროდ ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობასა და ლიბერალიიზმის ძირითად ღირებულებებზე ხშირად საუბრობენ, თუმცა მათ მიერ გატარებული პოლიტიკა რეალურად ძირს უთხრის ლიბერალურ ღირებულებებს. "ოჯახური ღირებულებების" შესახებ კანონი მოწყვლადი ჯგუფების დისკრიმინაციას უწყობს ხელს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივა სეკულარიზმის პრინციპებს არღვევს და სხვა რელიგიური კონფესიების უფლებებს ლახავს, "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონი სამოქალაქო საზოგადოებას და განსხვავებულ აზრს ზღუდავს, ყველა სახელისუფლებო შტოს და მარეგულირებელი ორგანოს მმართველი პარტიის მიერ მიტაცება კი ეჭვქვეშ აყენებს კანონის უზენაესობასა და დემოკრატიული კონტროლისა და ბალანსის პრინციპს. "ქართული ოცნების" პოლიტიკა თავადაა ფსევდოლიბერალიზმის გამოვლინება, თუმცა ამ უკანასკნელით ბრალს ისინი ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებას სდებენ.

ავტორიტარულ და ჰიბრიდულ რეჟიმებში ფსევდოლიბერალიზმის ბრალდებით კონსოლიდირებული ძალაუფლების მქონე ძალები ლიბერალური ჯგუფების დისკრედიტაციას ახდენენ.